# ლელო

**№ 39**
(11 188)

20 – 22 მაისი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## რეზონანსი

# აურზაური მანდატის გამო

აგერ უკვე მერამდენე ყრილობას ეგებება საქართველოს საფეხბურთო სამყარო და ვნებათაღელვას ისევ და ისევ ყრილობის დელეგატთა მანდატების განაწილება იწვევს. ადრე ამ აჟიოტაჟმა სამთავრობო კულუარებშიც შეაღწია, ადმინისტრაციული მეთოდებითაც შეეცადნენ „წესრიგის დამყარებას და შეცდომის გასწორებას“, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. არც გამოვიდოდა, რადგან სფფ საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და ყოველი უცერემონიო ჩარევა მის საქმეში უხეშ ზეწოლად აღიქმებოდა. ერთადერთი, რაც ამ აჟიოტაჟს მოჰყვებოდა ხოლმე, იყო ურთიერთობების გართულება, როგორც ცალკეულ პიროვნებებს, ისე ორგანიზაციებს შორის, ანუ ფუჭი მუქარა და ნერვების წყვეტა. როგორც ჩანს, ისტორია კვლავ მეორდება. ჩატარდა თუ არა სფფ-ს წინასაყრილობო ერთ-ერთი ალმასკომის სხდომა, სადაც მოახლოებული ყრილობისათვის დელეგატთა მანდატების განაწილების საკითხიც განიხილეს და გადაწყვეტილებაც გამოიტანეს, კვლავ აგორდა უკმაყოფილების ტალღა. განსაკუთრებით ჩვენი ვეტერანი ფეხბურთელები აქტიურობენ – ერთ მანდატს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირისთვის ისინი, რბილად რომ ვთქვათ, არასაკმარისად მიიჩნევენ. ობიექტურობა მოითხოვს სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და პირდაპირ ვთქვათ, რატომ, რის საფუძველზე ითხოვენ ჩვენი პატივცემული ვეტერანები მანდატების „მთელ პაკეტს“? ჯერ ერთი: ალმასკომი, რომელიც მოქმედებს სფფ-ს წესდების შესაბამისად, თავად ადგენს თუ როგორ დაიცვას მანდატების განაწილებისას სამართლიანობის პრინციპი, ანუ დააწესოს თანაბარი კვოტა იმისდამიხედვით, თუ ვინ ითვლება სფფ-ს სუბიექტად; მეორე: სფფ-ს ყრილობა ესაა საქართველოს ფეხბურთის სამყაროში დასაქმებულ მუშაკთა ყრილობა, რომელმაც უნდა შეაჯამოს გაწეული საქმიანობა და განსაზღვროს სამომავლო ამოცანები.



ახლა უფრო დაწვრილებით. დავუშვათ, საქართველოში ფეხბურთით დაინტერესებულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მიიღეს მათთვის სასურველი მანდატების რაოდენობა, განა სამართლიანი იქნება თავიანთი ხმებით მათ გარკვეული ზეგავლენა მოახდინონ კენჭისყრის შედეგებზე და სასწორზე შეაგდონ იმათი ბედი, ვინც ფეხბურთის სფეროშია დასაქმებული? ვეტერანი ფეხბურთელები, ვინც ათწლეულობით ქართულ ფეხბურთში მუშაობენ, განა წარმოდგენილნი არ იქნებიან ყრილობაზე კლუბებიც ან უშუალოდ სფფ-ს მეშვეობით? მაშ, რატომ უნდა გაუთანაბრდეს მათ ხმას იმათი ხმა, ვინც ასევე ათწლეულობით სათოფეზე არ გაჰკარებია ქართულ ფეხბურთს, არ უცხოვრია მისი პრობლემებით და არც მომავალში იცხოვრებს. პატივი და დიდება მათ! არ გვინდა ვინმემ იფიქროს, რომ ამ სტრიქონებს ღვაწლმოსილ ადამიანთა გასანაწყენებლად ან გულსატკენად ვწერთ. მაგრამ თუ სათქმელს პირდაპირ ვამბობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ წეს-კანონის უზენაესობა დავამკვიდროთ. სხვა საქმეა სტუმრის სტატუსით ვეტერანთა მიწვევა, მათ ალბათ ყრილობაზე გამოსვლის შესაძლებლობაც უნდა მივცეთ – აი ეს იქნება უფრო ობიექტური მიდგომა პრობლემისადმი.

ასე რომ, ვაცალოთ ქართულ ფეხბურთში მოღვაწე ადამიანებს თავადვე გადაწყვიტონ ის საკითხები, რომელიც მათი პრეროგატივაა.

მიმომხილველი

**P.S.** გაზეთის გამოსვლის წინ შევიტყვეთ, რომ ფეხბურთის ვეტერანები დღეს, 12 საათზე, ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში იკრიბებიან, რათა გამოხატონ თავიანთი პოზიცია სფფ ყრილობის მანდატების განაწილებასთან დაკავშირებით.

---

აჰა, სპორტული ეპიგრამები – ეგებ დაფიქრდნენ ქვეყნის მამები...

## „დრომ ახალი ძალით დაჰკრა...“

*„ბრძოლა წესების გარეშე“, ვის სჭირდება იგი?*

ოლიმპიური გვეკარგება სახეობები,
ქრებიან სპორტის ვეფხვები და არწივ-ორბები.

უწესო ბრძოლა ჩვენში უკვე შინაურია,
ბრბო ყველგან ბრბოა, ჩხუბი მოსწონს, სისხლი სწყურია.

მე ისე მახსოვს, ჯენტლმენური კრივი ვიცოდით,
წესს როს ვარღვევდით, სირცხვილისგან ლამის ვიწვოდით.

დრო შეიცვალა, ხეზე ბევრი უცხო ყლორტია,
წაქცეულ კაცს რომ წიხლით შედგე – ესეც სპორტია?..

სოლიდურ საქმეს ნუთუ აღარ გავეკარებით...
საჩემპიონო კაცის გაზრდას უნდა ლარები...

ცემა-ტყეპას კი არ ჭირდება თანხის ჩამდები,
სხვაგან ხომ გვაკლდა – სპორტშიც ვხვდებით აზიატები.

ჟამთა სვლა ალბათ ახალ-ახალ ტკივილს დატოვებს –
უნდა ველოდეთ ლომებსა და გლადიატორებს...

ნეტავ დალეწვის კანდიდატი კიდევ ვინ არი?
...თურმე ვერ შედგა დაბეგვილთა ორთა ფინალი...

თამაზ ებანოიძე

---

## ძიუდო ევროპის ჩემპიონატი



ნესტორ ხერგიანი



გიორგი რევაზიშვილი

# ნესტორ ხერგიანი ოქროს მედლების ათვლას იწყებს

საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები ამ დღეებში ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნდა. „ლელომ“ კომენტარი სთხოვა ძიუდოს ფედერაციის გენერალურ მდივანს მერაბ რატიშვილს, რომელიც გუნდს ახლდა ესპანეთში. აი, რა გვიამბო მან:

„ამჯერად ვაჟთა ჩემპიონატში მონაწილეობდა 41 ქვეყნის ორასი რჩეული ძიუდოისტი. ჩვენს გუნდში 7 ფალავანი გამოდიოდა. ამთავითვე გეტყვით, რომ კონკურენცია ძალიან მაღალი იყო. აშკარად შეიმჩნეოდა, რომ წამყვანი ქვეყნების ჰეგემონია დაირღვა, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მედლები ... ქვეყანაში „გაიწოვა“. მოკლედ, აღარ არიან ერთეული „თავკომბალა“ ქვეყნები. მხოლოდ რუსეთმა და საქართველომ მოიპოვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ოქროს მედლები, დანარჩენი თურქეთს, პოლონეთს, საფრანგეთს, ჰოლანდიას ხვდა წილად.

ბრწყინვალედ იასპარეზა 60 კგ. წონით კატეგორიაში ნესტორ ხერგიანმა („შევარდენი“), რომელმაც დაუმარცხებლად იარა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე და პირველად მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონობა. მანამდე, 1996 წელს ნესტორი იყო ევროპის მესამე პრიზიორი გუნდურ პირველობაში. გიორგი რევაზიშვილს (66 კგ) ადრე მოპოვებული ჰქონდა ევროპის ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ახლა კი კიდევ ერთი „ბრინჯაო“ შემატა თავის მონაგარს.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, ოფიციალურად შედეგები არ შეჯამებულა, რადგან წლეულსავე, ოქტომბერში, ავსტრიაში, გუნდური ჩემპიონატი ცალკე ჩატარდება“.



## ძვირფასი საგზურით ბრუნდებიან



„ლელოს“ 9 მაისის ნომერში გზა დავულოცეთ ჩვენი წყალბურთელების ეროვნულ ნაკრებს ევროპის შესარჩევ ტურნირში და გუნდის სრული შემადგენლობაც გაგაცანით. მაშინ მოთამაშე მწვრთნელმა ნოდარ ჩოლარიამ გვითხრა, რომ ჩვენებს შემდგომ ეტაპზე გასასვლელად ქვეჯგუფში მხოლოდ პირველი ადგილი აძლევდათ ხელს, მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში კი საგზურის ბედს გადაწყვეტდა დამატებითი შეხვედრა სხვა ჯგუფელთან. მოხდა ისე, რომ ქართველი წყალბურთელები მეორე ადგილზე გავიდნენ. ქვეჯგუფში მოუგეს ჩეხებს – 11:9, შვეიცარიელებს – 7:6, და წააგეს პოლონელებთან – 7:9. შემდეგ გადამწყვეტ მატჩში ჩვენებმა სხვა ჯგუფელს – დანიელებს სძლიეს 10:6 და შემდგომ ეტაპზე გასვლის უფლება მოიპოვეს. ვულოცავთ!

---

## საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### პირველი ჯგუფი XXIX ტური

უნივერსიტეტი (თბ.) — ოდიში (ზუგდ.) 1-2
მაღაროელი (ჭიათ.) — მერანი-91 (თბ.) 0-1
ვიტ-ჯორჯია (თბ.) — დინამო (თბ.) 0-2
სამგურალი (წყალტ.) — რუსთავი 1-0
კოლხეთი-1913 (ფთ.) — დინამო (ბთ.) 0-1
გურია (ლანჩხ.) — დილა (გორი) 3-2
ლოკომოტივი (თბ.) — მარგვეთი (ზესტ.) 3-0
სიონი (ბოლნ.) — ტორპედო (ქუთ.) 4-3

### ბოლო ტურის წინ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ.) | 29 | 24 | 3 | 2 | 84-13 | 70 |
| დინამო (ბთ.) | 29 | 17 | 7 | 5 | 56-19 | 58 |
| კოლხ.-1913 (ფთ.) | 29 | 17 | 6 | 6 | 55-24 | 57 |
| ტორპედო | 29 | 15 | 9 | 5 | 50-28 | 54 |
| ოდიში (ზუგდ.) | 29 | 14 | 4 | 11 | 39-49 | 46 |
| ლოკომოტ. (თბ.) | 29 | 11 | 8 | 10 | 33-37 | 41 |
| მერანი-91 (თბ.) | 29 | 13 | 7 | 9 | 39-32 | 39 |
| უნივერსიტ. (თბ.) | 29 | 11 | 6 | 12 | 35-31 | 39 |
| დილა (გორი) | 29 | 11 | 4 | 14 | 29-33 | 37 |
| სამგურალი | 29 | 9 | 6 | 14 | 29-48 | 33 |
| ვიტ-ჯორჯია (თბ.) | 29 | 8 | 9 | 12 | 24-35 | 33 |
| სიონი (ბოლნ.) | 29 | 10 | 6 | 13 | 47-43 | 31 |
| რუსთავი | 29 | 9 | 4 | 16 | 29-40 | 31 |
| გურია (ლანჩხ.) | 29 | 6 | 8 | 15 | 29-57 | 26 |
| მაღაროელი | 29 | 6 | 5 | 18 | 23-58 | 23 |
| მარგვეთი (ზესტ.) | 29 | 2 | 6 | 21 | 20-74 | 12 |

შეგახსენებთ: „დინამო“ (თბ.) და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა, „მერანი“-91“-ს — 7.



«დინამო» (თბ.) — «ვიტ-ჯორჯია» (თბ.)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## „ლელო“-ს კომენტარი

ამ ტურში თითქმის ყველაფერი გაირკვა. თბილისის „დინამომ“ რომ ზედიზედ მეცხრედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, ეს წინა კვირაში იყო ცნობილი. ახლა კი ზუსტად გაირკვა რომელი გუნდი რომელ ევროტურნირში იასპარეზებს: ბათუმის „დინამო“ – თასების თასზე, ფოთის „კოლხეთი-1913“ – უეფას თასზე, ქუთაისი „ტორპედო“ – ინტერტოტოზე.

უაღრესად დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში, ჯგუფიდან გავარდნილ ზესტაფონის „მარგვეთს“, ალბათ, მაინც ჭიათურის „მაღაროელი“ შეუერთდება, ვინაიდან ბოლო ტურში მისი ბედი სხვა გუნდების ხელშია: ზემო იმერლებმა ქუთაისში უნდა იმარჯვონ, გურულებმა კი წააგონ ზესტაფონში – თუ ასე მოხდა, „მაღაროელი“ „გურიასთან“ ურთიერთშეხვედრებში მოპოვებული უპირატესობის წყალობით მეორე ჯგუფის მესამე-მეოთხე ადგილზე გასულ საუკეთესო გუნდთან გადათამაშების უფლებას მიიღებს.

ბოლო ტურის უკვე თითქმის არაფრის მომცემი მატჩები 22 მაისს გაიმართება.

იხ. მე-3 გვ.

# შოთა – სამიდან ორი!

თუ უეფას თასზე „აიაქსს“ მოსკოველი სპარტაკელები ჩინეთის კედელივით დაუდგნენ, ჰოლანდიაში ამსტერდელების ჰეგემონია მტკიცეზე მტკიცე გახლავთ. გაჩემპიონების შემდეგ აიაქსელებმა ქვეყნის თასიც მოიპოვეს დააჩოქეს რა „ეინდჰოვენი“ მშრალი კვინტეტით 5-0. შოთა არველაძემ ერთი გოლი გაიტანა, ორ-ორი კი ლიტმანენმა და ბაბაგანდამ. აღსანიშნავია ისიც, რომ აქამდე „ეინდჰოვენი“ ერთადერთი გუნდი იყო ჰოლანდიაში, რომელიც, ასე თუ ისე, ეპაექრებოდა „აიაქსს“ (ეინდჰოველები ხომ ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდნენ). შოთა არველაძემ კი 1997-1998 წლების საფეხბურთო სეზონში სამი შესაძლო ტროფეიდან ორი მოიპოვა.

## კარგად დაიწყეს

სასიამოვნო ცნობები მოდის მინსკიდან, სადაც დაიწყო ევროპის მოკრივეთა ჩემპიონატი. საქართველოს წარგზავნილი სამი სპორტსმენი (გორელი რამაზ გაზაშვილი [51 კგ.], ჭიათურელი თენგიზ ჯაოშვილი [71], ფოთელი ვლადიმერ ჭანტურია [91]) თითო მოგებით მომდევნო წრეში გავიდა. აი, გამოცდილმა ფოთელმა მოკრივე კობა გოგოლაძემ კი, ორ ბრძოლაში გაიმარჯვა და ნახევარფინალისკენ მიიწევს.

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

22 მაისს, 12 საათზე, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ჩატარდება საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტის ალმასკომის სხდომა. დაინტერესებულ ჟურნალისტებს ვთხოვთ მობრძანდნენ.

ალმასკომი

# ქართული სპორტის რეზერვი

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** | **საქართველოს პირველობა**

## „შევარდენის“ ძლიერება კვლავ დამტკიცდა

შეჯიბრებაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის 100-მდე იუნიორი (1978-81 წ.წ.) ფალავანი იბრძოდა იუნიორთა ევროპის (ივნისი) და მსოფლიო (ივლისი) მონაწილეობისათვის საგზურის მოსაპოვებლად. ფედერაციამ, უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში მაინც შეძლო თბილისში ამ პირველობის ჩატარება. ახალგაზრდა სპორტსმენების პაექრობებს თვალყურს ადევნებდნენ აგრეთვე ვეტერანები მიხეილ სალაძე, თემურ აფხაზავა, ესტატე გოგლიჩიძე, ომარ ბლიაძე, თემურ ყაზარაშვილი, რაიდი აბრამიშვილი, ავთანდილ მაისურაძე. აღსანიშნავია „შევარდენის“ წარმომადგენელთა უპირატესობა. ამ სპორტსაზოგადოების ერთ-ერთი მწვრთნელის ვილიამ ხარაზოვის აღსაზრდელთაგან სამმა ჩემპიონობა (ფერაძე, ჰოჭუა, ქარდავა), ერთმაც მეორე (ტაბატაძე) და ერთმაც მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა (მუნჯიშვილი). ეს მწვრთნელი შეგირდებს თბილისის საავიაციო ქარხნის დარბაზში ბეტონის იატაკზე (ასეთ საყრდენზე ლეიბები უკვე სულ გაბრტყელებულა) დიდი რისკის გაწევით ამზადებს. დიდი სპორტული ტრადიციების ქარხანას ასეთი უყურადღებობა ნამდვილად არ შეშვენის.

კვარცხლბეკი

***49 კგ:*** 1. მანუჩარ ფერაძე, 2. გიორგი ტაბატაძე, 3. ნოდარ მუნჯიშვილი (სამივე — თბილისი, სამივე — „შევარდენი“); ***52 კგ:*** 1. ირაკლი ჰოჭუა (თბილისი), 2. მურად გობაძე (აჭარა), 3 რევაზ ლომაძე (ოზურგეთი, სამივე — „შევარდენი“); ***56 კგ:*** 1. მიხეილ ზაურაშვილი (რუსთავი, „შევარდენი“), 2. დავით მჟავანაძე (ქუთაისი), 3. გიორგი ბერიძე (აფხაზეთი, ორივე — „მართვე“), ***60 კგ:*** 1. ლევან ოდიშარია (თბილისი, ასკ), 2. ალექსანდრე კუნჭულია (აჭარა, „შევარდენი“), 3. მანუჩარ ვერძაძე (აჭარა, „დინამო“); ***65 კგ:*** 1. ალექსანდრე დოხტურიშვილი (სართიჭალა), 2. გელა გელაძე (აჭარა, „შევარდენი“), 3. დავით შავაძე (აჭარა, „დინამო“); ***70 კგ:*** 1. ბადრი ხასაია, 2. დავით მძელური (ორივე — თბილისი), 3. ნუგზარ ცალუღელაშვილი (აჭარა, სამივე — „შევარდენი“); ***76 კგ:*** 1. გელა ჩხაიძე (აჭარა), 2. მიხეილ ადეიშვილი (რუსთავი, ორივე — „შევარდენი“), 3. მამუკა ჩანტლაძე (აჭარა, „დინამო“); ***83 კგ:*** 1. ზვიად ქარდავა, 2. რამაზ ნოზაძე (ორივე — თბილისი, ორივე — „შევარდენი“), 3. ბიძინა გობრონიძე (ოზურგეთი, „მართვე“), ***90 კგ:*** 1. შიო გოგლიჩიძე (ქუთაისი, „მართვე“), 2. გიორგი ჯობავა (თბილისი), 3. გიორგი შუბაშვილი (თერჯოლა, ორივე — „შევარდენი“); ***115 კგ:*** 1. გიორგი წურწუმია (თბილისი, „შევარდენი“), 2. ლაშა გვადიბაძე (ქუთაისი „ლოკომოტივი“), 3. ილია ლეჟავა, (თბილისი, „შევარდენი“).


ძალოსნური სამჭიდი • საქართველოს თასი

## „ლომების აღლუმი“

ეს იყო ახალგაზრდების ასპარეზობა ძალისმიერი სამჭიდის ორ პროგრამაში (ჩაჯდომი და წოლჭიმი), რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა. მასპინძლების (კლუბი „ამირანი“) გარდა, მონაწილეობდნენ პოლიციისა და სპორტის აკადემიების, გორისა და კასპის, კლუბების — „ვიქტორია“, „გოლიათი“, „გლადიატორი“ და „შავლეგოს“ წარმომადგენლები, სულ 67 ათლეტი.

***16 წლამდე ათლეტთა შორის*** პირველობა მოიპოვეს: ვიტალი ოჰანესიანმა (52 კგ, „შავლეგო“), ლევან გულდამაშვილმა (56, „ვიქტორია“), დათო სუხაშვილმა (60, კასპი), პაპუნა ცინცაძემ (67,5; „ვიქტორია“), დათო ჯოკოშვილმა (75, „შავლეგო“), კოტე დვალიშვილმა (82, „ამირანი“), ირაკლი გოგიამ (100, სახელმწიფო უნივერსიტეტი). ***გუნდური:*** 1. პოლიციის აკადემია, 2. „ამირანი“, 3. „გლადიატორი“.

***18 წლამდე ასაკი.*** გამარჯვებულები: გურამ სიმონიშვილი (52, „გლადიატორი“), დათო კოზირიძე (60), გიორგი ავლოხაშვილი (67,5; ორივე — პოლიციის აკადემია), გიორგი არეშიძე (75, „გოლიათი“), ზურაბ სამანაშვილი (82,5; „ამირანი“), ირაკლი ისელიძე (90, „ვიქტორია), მამუკა ბერუაშვილი (100, პოლიციის აკადემია). ***გუნდური:*** 1. „ამირანი“, 2 „შავლეგო“, 3. „ვიქტორია.“

ასპარეზობას უძღვებოდა ფედერაციის მსაჯთა ბრიგადა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ელგუჯა კვიკვინიას ხელმძღვანელობით.

თ. კახიძე

## ეს ერთი და...



*საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ და საქართველოს რაგბის კავშირმა პირველად ჩაატარეს უმაღლესი სასწავლებლების პირველობა რაგბიში (შვიდკაცა) და ისე მოეწონათ როგორც ორგანიზატორებს, ისე მონაწილეებს, რომ გადაწყვიტეს ყოველწლიურ ღონისძიებად დაამკვიდრონ. მით უფრო, რომ სპონსორიც უღალატო გამოუჩნდათ — ფირმა „ტექნოირსი“ და მისი გენერალური დირექტორი ლევან ქორიძე.*

*8 გუნდს შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა, მეორე იყო სამხატვრო აკადემიის, მესამე — აგრარული უნივერსიტეტი.*

დ. კოდუა

## ცხოვრება და სპორტის ვეტერანი

## დავით კვაჭაძე კვლავ კრივის ქურუმია

**ამ ბოლო წლებში თითქოს მივიწყებას მიეცა ევროპის ექს-ჩემპიონის, ცნობილი ქართველი მოკრივის დავით კვაჭაძის სახელი. რამდენადაც ვიცი, დ. კვაჭაძე საკმაოდ აქტიური ბუნებით გამოირჩევა, რასაც მოწმობს რინგიდან წასვლის შემდეგ მისი ფრიად ნაყოფიერი საქმიანობა ჩვენში კრივის გასავითარებლად. დ. კვაჭაძის უდავო დამსახურებაა ის, რომ ახალგაზრდობა მასობრივად მიიზიდა ამ ვაჟკაცურმა სახეობამ. გაიხსნა მოზარდთა სპეციალიზებული კრივის სპორტსკოლები, სადაც არაერთი მაღალი კლასის ოსტატი აღიზარდა. „ლელოს“ რედაქციას ვთხოვ გვაცნობოს ამ ღვაწლმოსილი პიროვნების დღევანდელი საქმიანობის შესახებ.**

**მალხაზ ქიმერიძე, ქ. თბილისი.**

დავით კვაჭაძე სულაც არ გახლავთ „გაუჩინარებული“ და კვლავ მთელი ძალისხმევით ემსახურება თავის საყვარელ სახეობას — კრივს. ეგ არის რომ, იგი ახლა სხვა ქალაქში, სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობს და საქმიანობს. ამას წინათ იგი ჩამოვიდა მშობლიურ თბილისში, რათა დასწრებოდა მისი სახელობის მოზარდ მოკრივეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ამჯერად მეთხუთმეტედ ჩატარდა. ჩვენი კორესპონდენტი გაესაუბრა მას.

— სანკტ-პეტერბურგში ოჯახიანად დავსახლდი, — თქვა დ. კვაჭაძემ, — ჩემი ვაჟი დათო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ეუფლება ინგლისურ ენას, ქალიშვილი თამარი კი გიმნაზიის მეათე კლასს ამთავრებს და მეცადინეობს ვიოლინოზე დაკვრაში. მეუღლე მანანა გორგოძე უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურისა და ენის კურსს კითხულობს.

● ***თავად თქვენ რას საქმიანობთ?***

— სპორტულ სამყაროში ლესგაფტის სახელობის ცნობილი ინსტიტუტის კრივის კათედრის დოცენტი ვარ. უკვე გამოქვეყნებული მაქვს ოცდახუთამდე სამეცნიერო გამოკვლევა. ერთ-ერთი ბოლოთაგანია ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც პროფესორებთან, სერგეი ფილიპოვთან და ვლადიმირ ტაიმაზოვთან ერთობლივად გამოვეცით სათაურით „Информация деятельности тренера по боксу“. იგი საგანგებოდ აღინიშნა და ნაშრომმა სპეციალური პრემია დაიმსახურა.

● ***კრივში პრაქტიკულ მოღვაწეობას შეეშვით?***

— არა, რატომ! ვეხმარები კინგბოქსინგის ოსტატებსა და „სავატის“ სექციას (არის ფრანგული კრივის ასეთი მიმდინარეობა). ერთხანს ნაზ არსებებსაც ვაზიარებდი ჩვენს ვაჟკაცურ სახეობას! არც ნორჩი მოკრივეები დამივიწყებია, პეტერბურგის ერთადერთ ქართულ სკოლაში მოსწავლეთა ჯგუფი მყავს. ჩემმა აღზრდილებმა რუსეთის სხვადასხვა მასშტაბის პირველობაშიც გამოიჩინეს თავი და მასახელეს.

● ***სამშობლოში დაბრუნებას აღარ აპირებთ?***

— როგორ არა, მაგრამ ჯერ შვილებმა განათლება უნდა მიიღონ და შემდეგ დავბრუნდები მთელი ოჯახით.

● ***რას იტყოდით თქვენი სახელობის ტურნირზე, რისთვისაც ჩამობრძანდით?***

— პირველ ყოვლისა, მინდა მადლობა ვუთხრა მის ორგანიზატორებს, რომლებმაც სიძნელეების მიუხედავად მაინც შეძლეს ტურნირის ჩატარება, და რაც მთავარია, მას შეუნარჩუნეს სტატუსი — საერთაშორისო. სასიხარულოა, აგრეთვე, რომ შეჯიბრება, კვლავინდებურად ახალგაზრდობას იზიდავს, რინგზე 110-ზე მეტი მოკრივე იბრძოდა, რაც მოზარდთა შორის კრივის პოპულარობაზე მეტყველებს.

გულსატკენი იყო მსაჯების მიუტევებელი შეცდომები, რის გამოც ბევრი გამარჯვებული უსამართლოდ სცნეს დამარცხებულად. ეს ცუდ სამსახურს უწევს ჩვენს სახეობას. მაგრამ, აქვე ვიტყვი, რომ ესეც არსებული სიძნელეების ბრალია — მსაჯებს საშუალება არა აქვთ ქვეყნის გარეთ გავიდნენ სამსაჯოდ, აიმაღლონ კვალიფიკაცია.

ჩაიწერა
ჯ. უნგიაძემ

## დებიუტანტი



**ალექსანდრე დოხტურიშვილი**
(ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)

დაიბადა 1980 წელს სოფელ სართიჭალაში
წონა – 63 კგ
სიმაღლე – 170 სმ
ჭიდაობაში ვარჯიშობს 1993 წლიდან
პირველი მწვრთნელია კობა მოხევიშვილი
ამჟამად ოსტატდება ჯონი რეხვიაშვილთან. სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წარმომადგენელია, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ჭაბუკებში და იუნიორებში. გარდა სპორტისა გატაცებულია ცეკვით.

**თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადა • ფარიკაობა • ძიუდო.**

## სტარტზეა ათივე რაიონი

თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება მოსწავლეთა 52-ე საქალაქო სპარტაკიადა. მოფარიკავეთა ასპარეზობაში გუნდური ადგილები: 1. ვაკე – 10 ქულა, 2. საბურთალო – 9, 3. დიდუბე – 8, 4. ისანი – 7, 5. სამგორი – 6, ნაძალადევი – 5, 7. ჩუღურეთი – 4, 8. მთაწმინდა – 3, 9. გლდანი – 2, 10. კრწანისი – 1. ქულათა დარიცხვის ასეთივე წესით (I ადგილი 10, მე-10 – 1) ძიუდოში ადგილები განაწილდა ასე: 1. დიდუბე, 2. ჩუღურეთი, 3. სამგორი, 4. ისანი, 5. ნაძალადევი, 6. გლდანი, 7. ვაკე, 8. კრწანისი, 9. საბურთალო, 10. მთაწმინდა.

ლ. კოდუა, დ. კოდუა

**ბატუტი** | **საერთაშორისო ტურნირი**

## უფულობის გამო ცოტა მედალს სჯერდებიან...

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ მხატრული ტანვარჯიშისა და ბატუტზე ხტომის სპორტული სკოლის ორი ბატუტისტი მონაწილეობდა ოდესაში ამ დღეებში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. 12 წლის რობერტ ლეონტიევმა ყველას აჯობა ჭაბუკთა ინდივიდუალურ ხტომებში და პირველი ადგილი დაიკავა. უფროსების პროგრამით მოასპარეზე 8 წლის ლიუბოვ გოლოვინა მეოთხე იყო.

— ორივე სპორტსმენი საკუთარი სახსრებით გაემგზავრა ოდესაში – გვითხრა სპორტსკოლის დირექტორმა როზა ბერიკაშვილმა, – ამათ გარდა, კიდევ რამდენიმე პერსპექტიული მხტომელი გვყავს და თუ დაფინანსება იქნება, გამარჯვებებიც იმრავლებს, ბატუტზე ხტომა, მოგეხსენებათ, ოლიმპიურ სახეობად აღიარეს და, თუნდაც ამიტომ, მეტ ყურადღებას იმსახურებს.


«ლელოს» ფოტომატიანე

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული ნაწარმის ფაბრიკა ერთ-ერთ უმძლავრეს საწარმოდ იქცა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. ეს იყო 80-იანი წლების მეორე ნახევარში. მაშინ გადაწყდა, რომ ფაბრიკას აეთვისებინა ახალი პროდუქცია და მისი ხარისხი მსოფლიოს საუკეთესო ფირმების ნაწარმისას გათანაბრებოდა. ამ მიზნით ეწვია ფაბრიკას სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მარატ გრამოვი (მარჯვნიდან პირველი), საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი ზურაბ ჩხეიძე, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რამაზ გოგლიძე, რომლებსაც განმარტებას აძლევს ფაბრიკის დირექტორი რომან რურუა.

ამ ფოტოდოკუმენტმა სხვა ფაქტიც შემოგვინახა. მიაქციეთ ყურადღება, – მარჯვენა მხარეს ნედლეულის მთელი გორაა...

## ლისს იქით და ლისს აქეთ...

### აბაშა

რაიონში ენერგიულად ემზადებიან პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ 80 წლის იუბილის აღსანიშნავად. დამტკიცდა იუბილისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიების გეგმა. შეჯიბრებები ჩატარდება ქართულ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, მინი ფეხბურთსა და ფეხბურთში.

* * *

დასასრულს მიუახლოვდა აბაშის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა. ფინალური შეჯიბრებები გაიმართება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს — 26 მაისს.

**უმანკო მიმინოშვილი,**
„ლელოს“ კორ., აბაშა

### ახმეტა

პირველებმა ამ რაიონში გაიხსენეს, რომ მოსწავლე მძლეოსანთა შეჯიბრებები კარგი ღონისძიება იყო რაიონში სპორტის სიცოცხლის უნარის ტონუსის შესანარჩუნებლად და ქვეყნისთვის ნიჭიერი რეზერვის წარმოსაჩენად. ამ დღეებში რაიონის სკოლების 110-მდე მოსწავლე გამოვიდა სტარტზე ზემო ალვანის სტადიონზე (ახმეტის №1 და №3, ინტერნატის, სოფლების მატნის, ქისტაურის, ოჟიოს ქვემო და ზემო ალვანის წარმომადგენლები). ორგანიზატორი იყო სპორტსკოლის დირექტორი აკაკი ნონიაშვილი, რომელმაც სპონსორების მეშვეობით პრიზებიც დააწესა. ოთხი პრიზი კი ზემო ალვანის გამგებელმა შალვა ილურიძემ გამოჰყო. ადგილები ასე განაწილდა: 1. ქვემო ალვანი (ფიზაღზრდის მასწავლებელი უსუფ ღულელაური), 2. ზემო ალვანი, 3. ახმეტის №1 სკოლა. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ყარამან საბანაძემ, რომელიც დაესწრო ამ შეჯიბრებას, საგანგებოდ ჩაინიშნა პერსპექტიული მოსწავლეების გვარები (მაკა ბაციაშვილი, მარინა ჯააძე, ვლადიმერ ქიტიძე...).

„ლელოს“ კორ., ახმეტა

**ჩვენს** მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან პრესას კიდევ ერთი ფრიად ორიგინალური და სქელტანიანი გაზეთი შეემატა. „ახალი ქართული გაზეთი“ უცხოეთის გამოცემებზეა ორიენტირებული – იბეჭდება ბლოკებად („მწერლობა“, „დაიჯესტი“, „სპორტი“, „რეკლამა“...). ჯერ გამოვიდა მხოლოდ საცდელ-სარეკლამო ნომერი, რომლის შინაარსი და დიზაინი გვაფიქრებინებს, რომ ქართული პრესის დიდ ოჯახში, ნიჭიერ ჟურნალისტთა ნაკრები გუნდის მიერ შექმნილი, მეტად საყურადღებო გაზეთი შემოაბიჯებს.



## ლოკომოტივი (თბილისი) — მარგვეთი (ზესტაფონი) 3-0

*ლოკომოტივი:* დოლაბერიძე, ამბიძე, არჩვაძე, ბარნოვი, დ. კაკუბავა (გ. კვეტენაძე), ზამთარაძე, ბაქრაძე (ხუციშვილი), ყველაშვილი, კოტორაშვილი, გოდერძიშვილი (ვასაძე), ახალაძე.
*მარგვეთი:* მერკვილიშვილი, გოგაძე, ქვანია, კაკაბაძე, ბოგვერაძე, კაციაშვილი, მალაღურაძე, ქურციკიძე, მუმლაძე, მალრაძე, შავგულიძე.
*გოლები:* კოტორაშვილი (12), გოდერძიშვილი (19), ბაქრაძე (34).
*მსაჯი:* პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი).

ბოლოსწინა ტურის ეს მატჩი ერთი გუნდის დიდი უპირატესობით წარიმართა. ეს არც იყო მოულოდნელი, რადგან რკინიგზელები ცხრილის შუაში ბინადრობენ და განსაკუთრებით მეორე წრეში კარგ თამაშს აჩვენებენ, ხოლო ზესტაფონელები უიმედო აუტსაიდერები არიან.

მატჩი დაგვიანებით დაიწყო — სტუმრები ჩამოსთვლისთანავე გავიდნენ მინდორზე.

გოლამდე მასპინძლებმა საკმაოდ რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან, როცა კოტორაშვილი მარტო დარჩა მეკარესთან, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. თუმცა, იმავე კოტორაშვილმა თითქმის იგივე პოზიციიდან გახსნა ანგარიში. რამდენიმე წუთის შემდეგ კი გოდერძიშვილმა კარგი პასი მიიღო ახალაძისგან. ჩამოიცილა გოგაძე და ძლიერი დარტყმით გაზარდა უპირატესობა. უნდა ითქვას, რომ სტუმართა გუნდი დაქსაქსული იყო ყველა ხაზში და „ლოკომოტივის“ შეტევები სახიფათო იერს იღებდა. ერთადერთი, რაც მთელი შეხვედრის მანძილზე სტუმრებმა შეძლეს, კაციაშვილის უძლიერესი საჯარიმო გახლდათ, მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა, ეს მოხდა ორი წუთით ადრე, ვიდრე ბაქრაძე მესამე გოლს გაიტანდა.

მეორე ტაიმში მასპინძლები თავს აღარ იკლავდნენ გოლის გასატანად. არადა, ამის შანსი მრავლად ჰქონდათ ზამთარაძეს, კოტორაშვილს, ვასაძეს... ერთ მომენტში, შეცვლაზე შემოსულმა ხუციშვილმა, სტუმართა გოლკიპერს ჩაუჭრა გადაცემა, პირისპირ გავიდა მასთან, მაგრამ კარის დარაჯმა უმალვე გამოასწორა თავისი შეცდომა.

ილია ნანობაშვილი

## საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი

# სტატისტიკის მოყვარულთათვის

## გამოტოვებული მატჩები

### ტორპედო (ქუთაისი) — დინამო (ბათუმი) 1-0
(XXVI ტურის მატჩი)

*ტორპედო:* ასლანაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, ჩხაიძე, კ. კვეტენაძე (ჩხეტიანი), შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ვაჩიბერაძე), მეტრეველი (თურმანიძე).
*დინამო:* ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორღაშვილი (ღლონტი), მ. მახარაძე, ჰიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე, სოლოღაშვილი.
*გოლი:* ხუჯაძე (26)
*გააფრთხილეს:* ჩხაბერიძე, სოლოღაშვილი, დ. ჯანაშია, შეყილაძე
*მსაჯი:* ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი)

### მაღაროელი (ჭიათურა) — რუსთავი 0-3
(XXI ტურის მატჩი)

*მაღაროელი:* გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ბიწაძე (აბარამიშვილი), გაბრიჭიძე, ბარამიძე, შეყლაშვილი, ბუიშვილი, სამხარაძე, კავთელაძე, მწყრაშვილი.
*რუსთავი:* მ. ქორიძე, მენთეშაშვილი (კედელაშვილი), მელაძე, შილაკაძე, მ. სახვაძე, ცომაია, ზირაქაძე, ბ. შენგელია (ბოკერია), ჩუხუა, ყიფიანი (პატარიძე), კ. ალადაშვილი.
*გოლები:* ჩუხუა (54,78), პატარიძე (73).
*გააფრთხილეს:* კიპაროიძე, გველესიანი, ბუიშვილი, მ. ქორიძე, ყიფიანი, შილაკაძე.
*მსაჯი:* თემურ მაჭარაძე (ხონი)

### ოდიში (ზუგდიდი) — დინამო (თბილისი) 1-5
(XXI ტურის მატჩი)

*ოდიში:* გაბელია (ივარდავა), ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, აკობია, ბარქაია, გელა ქორიძე, ჩადუნელი, ენდელაძე (შედანია), გლუნჩაძე, ისიანი (იოსავა), კალანდაძე.
*დინამო:* ზოიძე (ლომაია), არსოშვილი, გუჩუა, ჯელაძე, ა. სახვაძე, გ. კვარაცხელია, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, ცქიტიშვილი (ქემოკლიძე), ხომერიკი (მუჯირი).
*გოლები:* 0-1, 0-2 ხომერიკი (11,15), 0-3, 0-4, 0-5 აშვეთია (35,46 66), 1-5 კალანდაძე (86)
*მსაჯი:* მერაბ მალაღურიძე (თბილისი)

## XXIX ტური

### კოლხეთი-1913 (ფთ) — დინამო (ბთ) 0-1

*კოლხეთი-1913:* ქვაჩახია, მიქაბერიძე, ტორჩინავა, გიორგაძე, ქუნთელია, ღაღანიძე, ნოზაძე, მახარაძე (წივწივაძე), ხუხიაშვილი, ინალიშვილი (კრასოვსკი), მ. ქობულაძე (გოროზია).
*დინამო:* ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორღაშვილი, მ. მახარაძე, ჰიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე (აფხაზავა), სოლოღაშვილი (ღლონტი).
*გოლი:* ი. მახარაძე (23)
*გააფრთხილეს:* ქუნთელია
*მსაჯი:* მერაბ მალაღურაძე (თბილისი)

### სიონი (ბოლნ) — ტორპედო (ქუთ) 4-3

*სიონი:* დალაქიშვილი, ჩომახიძე, შაკიაშვილი, კ. წიკლაური, მ. სამხარაძე, ტარტარაშვილი, გოგოლაძე, ჯაფარიძე (დ. ბერიძე), ტყავაძე, ჯაგიდისი (თვალაბეიშვილი); დ. გაგუა.
*ტორპედო:* ასლანაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, ჩხაიძე, კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, მეტრეველი (გ. შენგელია).
*გოლები:* 0-1 მეტრეველი (6), 1-1 ტყავაძე (8), 2-1 სამხარაძე (35), 2-2 ჯანაშია (59), 2-3 მეგრელაძე (62), 3-3, 4-3 ტყავაძე (69,85)
*გააფრთხილეს:* ჩხაბერიძე, ბერიძე.
*მსაჯი:* თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)

### სამგურალი (წყალტუბო) — რუსთავი 1-0

*სამგურალი:* სტურუა, ჭელიძე, გ. თევზაძე, კოლუაშვილი, ჯანელიძე, ძაგნიძე, მოსიკაშვილი (ფხაკაძე), გ. ვაშაკიძე, კ. ჯანაშია (ჯავახაძე), ხურცილავა (ქუთათელაძე), თევდორაძე.
*რუსთავი:* მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, პატარიძე, სილაგაძე (პავლიაშვილი), მ. სახვაძე, ცომაია, ზირაქაძე, მელაძე, ჩუხუა (ზ. გვაზავა), ლაბაძე (ბოკერია), კ. ალადაშვილი
*გოლი:* თევდორაძე (25)
*გააფრთხილეს:* ჯანელიძე, ლაბაძე
*მსაჯი:* სოსო კახიანი (თბილისი)

### მაღაროელი (ჭიათ) — მერანი-91 (თბ.) 0-1

*მაღაროელი:* თოდაძე, ჩიკვილაძე, იობაშვილი, ბიწაძე (ტეფნაძე), მ. გაბრიჭიძე, აბრამიშვილი, ბარამიძე, შეყლაშვილი, თ. სამხარაძე, კავთელაძე, მწყრაშვილი.
*მერანი-91:* ნაჭყპია, ინიაშვილი (დავითნიძე), ე. ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გეწაძე, დავითაშვილი, დანელია, ა. ხორხელი (ივანიშვილი), მაზანაშვილი (აბაზაძე), მესხი.
*გოლი:* მესხი (18)
*გააფრთხილეს:* სამხარაძე, აბრამიშვილი, დანელია, კავთელაძე
*მსაჯი:* გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

### გურია (ლანჩხ) — დილა (გორი) 3-2

*გურია:* გოგუა, ღურწკაია (ხოსროშვილი), კ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ფაცურია, თიბილაშვილი, ზ. კვეკვესკირი, განევი, პატარაია (ჯაშიაშვილი, გოგიჩაიშვილი), ჩხეტია, ბულუხია.
*დილა:* გრ. ჰანტურია, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, ვ. ჩიტაია, ხოხობაშვილი, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, ბ. ჩიტაია (თაყაძე)
*გოლები:* 0-1 მარლიშვილი (3), 1-1 თიბილაშვილი (27), 2-1 ჯაშიაშვილი (47), 2-2 ხორგუაშვილი (78), 3-2 ჩხეტია (84) კ. კვეკვესკირმა 79-ე წუთზე ვერ გაიტანა პენალტი.
*მსაჯი:* ელგუჯა სილაგავა (თბილისი)

### უნივერსიტეტი (თბ.) — ოდიში (ზუგდ.) 1-2

*თსუ:* ნიკურაძე, ცხადაძე, ვერემჩუკი, სვანიძე, შალამბერიძე, მაზიაშვილი, გემეზაშვილი, გ. გვაზავა, ლ. მელქაძე (ბახტაძე), კ. მელქაძე, როსტიაშვილი.
*ოდიში:* გაბელია, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, აკობია, ბარქაია, იოსავა, ისიანი, დათუაშვილი (შედანია), გლუნჩაძე, ქოიავა, კალანდაძე.
*გოლები:* 1-0 მაზიაშვილი (68), 1-1, 1-2 კალანდაძე (81,87)
*გააფრთხილეს:* ქოიავა.
*მსაჯი:* ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

### ვიტ-ჯორჯია (თბ) — დინამო (თბ) 0-2

*ვიტ-ჯორჯია:* დ. ჯანელიძე, ილურიძე, ალავიძე, (ღამბაშიძე), ჰოხონელიძე, ბურდული, დვალიშვილი, რუხაძე (გუგუშვილი), მაისურაძე, ლ. ნოზაძე, ჰუმბურიძე (ქუთათელაძე), გოჩაშვილი.
*დინამო:* ზოიძე, ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, ჯელაძე, ა. სახვაძე, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, ცქიტიშვილი, მუჯირი.
*გოლები:* მუჯირი (77), აშვეთია (88)
*გააფრთხილეს:* გოჩაშვილი, ჯელაძე.
*მსაჯი:* ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

## მესამე ჯგუფი

### აღმოსავლეთის ზონა ● XVI ტური

ალგეთი — ჰაბუკიანი 2-2, თელეთი — იბერია 3-0, ყვარელი — ხალიბი-97 2-0, ალაზანი — შირაქი 3-0.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 14 | 12 | 1 | 1 | 37-5 | 37 |
| ალგეთი | 15 | 10 | 3 | 2 | 23-8 | 33 |
| ალაზანი | 14 | 7 | 3 | 4 | 22-15 | 24 |
| ხალიბი-97 | 14 | 6 | 0 | 8 | 16-17 | 18 |
| შირაქი | 15 | 5 | 3 | 7 | 26-29 | 17 |
| სამგორი | 14 | 5 | 2 | 7 | 26-29 | 17 |
| იბერია | 14 | 5 | 1 | 8 | 16-24 | 16 |
| ჰაბუკიანი | 14 | 4 | 2 | 8 | 13-20 | 14 |
| თელეთი | 14 | 2 | 1 | 11 | 18-53 | 7 |

### ცენტრალური ზონა ● XVI ტური

მესხეთი ბაია-ქასქი-ჯიქები 7-1, თსუ-2 — ლოკომოტივი-2 4-2, ვარძია — ქინერი 2-2, 35 სტუ — დილა-2 0-3, მრეტები — დინამო-2 — გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო-2 | 15 | 11 | 2 | 2 | 49-13 | 35 |
| თსუ-2 | 16 | 10 | 4 | 2 | 42-18 | 34 |
| მესხეთი | 16 | 8 | 5 | 3 | 45-23 | 29 |
| ლოკომოტივი-2 | 16 | 9 | 1 | 6 | 32-22 | 28 |
| დილა-2 | 16 | 8 | 1 | 7 | 41-26 | 25 |
| ქინერი | 16 | 7 | 4 | 5 | 30-26 | 25 |
| ბაია-ქასქი-ჯიქები | 16 | 5 | 3 | 8 | 20-38 | 18 |
| მრეტები | 15 | 5 | 2 | 8 | 22-38 | 17 |
| ვარძია | 16 | 2 | 3 | 11 | 18-50 | 4 |
| 35-ე სკ. - სტუ | 16 | 1 | 1 | 14 | 8-53 | 4 |

### დასავლეთის ზონა ● XVIII ტური

ენგური — გაგრა 3-1, ოქროს საწმისი — სულორი 1-1, სალხინო — შუქურა 4-1, ეგრისი — ტორპედო-2 3-2, ბათუმი-2 — ოდიში-2 გადაიდო.

XIX ტურის მატჩი

შუქურა — ეგრისი 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 17 | 14 | 3 | 0 | 46-9 | 45 |
| ეგრისი | 17 | 14 | 2 | 1 | 37-16 | 44 |
| შუქურა | 16 | 7 | 6 | 3 | 24-20 | 27 |
| ოქროს საწმისი | 17 | 7 | 6 | 3 | 24-20 | 27 |
| გაგრა | 16 | 6 | 3 | 7 | 30-24 | 21 |
| ოდიში-2 | 16 | 5 | 3 | 8 | 15-19 | 18 |
| ბათუმი-2 | 15 | 4 | 4 | 7 | 16-20 | 16 |
| სამგურალი-2 | 16 | 4 | 4 | 8 | 21-29 | 16 |
| ტორპედო-2 | 17 | 4 | 4 | 9 | 17-31 | 16 |
| სალხინო | 16 | 4 | 3 | 9 | 23-38 | 15 |
| სულორი | 16 | 2 | 3 | 11 | 14-42 | 9 |

## დავით ყიფიანმაც უცხოეთს მიაშურა

ქართველთა საამაყო ვეტერანმა ფეხბურთელმა და თბილისის დინამოს ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა მოსკოვს მიაშურა. ამბობენ, რუსეთის საფეხბურთო კავშირმა მას ერთდროულად რამდენიმე კლუბის გაძღოლა შესთავაზა, მათ შორისაა მოსკოვის „დინამოსა“ და იაროსლავლის „შინიკის“ წინადადებები. ყიფიანმა, თურმე, არჩია „შინიკი“, რომელიც რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდის და შარშან ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებაც მიიღო (მატჩები მომავალ თვეში დაიწყება), წელს კი „შინიკი“ 16-გუნდიან ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზეა და, რა თქმა უნდა, ლიგიდან გავარდნის კანდიდატად ითვლება. უშველის ყიფიანი აუტსაიდერს თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს, ჩვენ კი დავძენთ, რომ იგი მესამე საფეხბურთო მწვრთნელია, რომელმაც უკმაყოფილომ დატოვა სამშობლო და ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს მიაშურა. შეგახსენებთ, გივი ნოდია სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივს“, ხოლო რევაზ ძოძუაშვილი ლატვიის ნაკრებს წვრთნის.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# არსენ ვენგერის ტრიუმფი

### ინგლისის ჩემპიონატი

ვინც ინგლისის ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს დახედავს, რომელშიც პირველ ადგილზე გამოსულმა ლონდონის “არსენალმა“ საბოლოოდ 78 ქულა მოიპოვა და მხოლოდ ერთით გაუსწრო „მანჩესტერ იუნაიტედს“, შეიძლება იფიქროს, რომ ამ გუნდებს შორის უკანასკნელ ტურამდე მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა. სინამდვილეში კი, საქმე, რა თქმა უნდა, ასე არ ყოფილა. „არსენალმა“ ჩემპიონობა რამდენიმე ტურით ადრე მოიპოვა და ამის შემდეგ ქულებს აღარ გამოჰკიდებია — საქმე მოთავებულად ჩათვალა.

„არსენალის“ წლევანდელ ტრიუმფში დიდი როლი შეარსულა ცნობილმა ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა. ვენგერს საფრანგეთშიც დიდი სახელი ჰქონდა, სადაც „მონაკოს“ წვრთნიდა, მაგრამ ინგლისის ჩემპიონობა მაინც სულ სხვა რამ არის. ის კი მაინც უნდა ითქვას, რომ „არსენალის“ ახლანდელ წარმატებაში თვით ინგლისელებმა მეორეხარისხოვანი როლი შეასრულეს. ნებისმიერ დაცვას თრგუნავდა ჰოლანდიური დუეტი დენის ბერხკამპისა და მარკ ოვერმარსის შემადგენლობით. ბერხკამპს (1969) ასე კარგად არასოდეს უთამაშია, და რომ ტრავმა არა, იოლად გახდებოდა ლიგის №1 სნაიპერი. ფინიშზე გამოტოვებული რამდენიმე მატჩის მიუხედავად, მან 16 გოლი გაიტანა, მხოლოდ ერთით ნაკლები, ვიდრე დიონ დაბლინმა („კოვენტრი სიტი“), კრის სატონმა („ბლეკბერნ როვერსი“) და მარკ ოუენმა („ლივერპული“). ისე კი, ბერხკამპი სეზონის №1 ფეხბურთელად აღიარეს ინგლისში, ვენგერი კი — №1 მწვრთნელად, რა თქმა უნდა, „არსენალში“ სხვა ფეხბურთელებიც ჩინებულად თამაშობდნენ. მარკ ოვერმარსმა (1972) 12 ბურთი გაიტანა. შესანიშნავად თამაშობდა გუნდის კაპიტანი ტონი ადამსი (1966), ფრანგი მცველი ჟილ გრიმანდი (1970), ასევე, ფრანგი ნახევარმცველი ემანუილ პეტი (1980), კიდევ ერთი ფრანგი თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა (1989), რომელიც ძალიან შესამჩნევი გახდა ჩემპიონატის მეორე ნახევარში. ამას დავუმატოთ ვეტერანი თავდამსხმელი იან რაიტი (1963). რაც შეეხება განთქმულ მეკარე დევიდ სიმენს (1963): იგი კვლავინდებურად საუკეთესოა ინგლისში და ევროპაშიც ერთ-ერთი საუკეთესო.

ერთი სიტყვით, მრავალი წლის შემდეგ „არსენალის“ მიერ ჩემპიონობის დაბრუნება ჩაითვლა, როგორც სრულიად დამსახურებული მოვლენა. მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედის“, რომელიც უცვლელად იმარჯვებდა უკანასკნელ წლებში, გულშემატკივრები აცხადებენ, რომ მათმა გუნდმა ლონდონელებს ჩემპიონობა სულ მოკლე დროით, ერთი წლით, „ათხოვა“.

„მანჩესტერ-იუნაიტედი“, რა თქმა უნდა, უწინდებურად ძლიერია და შეიძლება თავი ინუგეშოს იმით, რომ „არსენალზე“ მეტი გოლი გაიტანა (73 68-ის წინააღმდეგ) და ნაკლები მიიღო (26, „არსენალმა“ 33). ალექს ფერგიუსონი თავისი გუნდის შედარებით მარცხს იმით ხსნის, რომ მოთამაშეთა ტრავმების გამო წამდაუწუმ უხდებოდა შემადგენლობის შეცვლა. გუნდს აშკარად გაუჭირდა, როცა მწყობრიდან გამოვიდა განთქმული დანიელი მეკარე პიტერ შმეიხელი, ხოლო მისი შემცვლელი, ჰოლანდიელი ვან დერ გოუვი სუსტად თამაშობდა. გარდა ამისა, ინგლისელი მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბევრი ახალი მოთამაშე მიიღო, მათი ადაპტაციის პროცესი კი გაჭიანურდა. ასეა თუ ისე, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კვლავ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში, ეს უფლება კი ვერ მოიპოვა როი ევანსის „ლივერპულმა“, რომელიც 65 ქულით მესამე ადგილზე გავიდა. ევანსი კმაყოფილი უნდა იყოს იმით, რომ დააწინაურა ახალი ვარსკვლავი, 18 წლის მაიკლ ოუენი (17 გოლი ჩემპიონატში), რომელიც დიდ იმედებს აძლევს არა მარტო მას, არამედ ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობასაც. სეზონი ურიგოდ არ ჩაუტარებია „ლივერპულის“ ცნობილ ნახევარმცველ სტივ მაკმანამანსაც (11 გოლი)

ყურადღებას იპყრობს ლონდონის „ჩელსის“ აშკარა წინსვლა. ამ კლუბში ერთი მოთამაშე მწვრთნელი რუუდ გულიტი შეცვალა მეორემ, ჯანლუკა ვიალიმ, რომელმაც ერთბაშად სამ წარმატებას მიაღწია: პირველია მეოთხე ადგილი ჩემპიონატში, მეორე ლიგის თასის მოპოვება, მესამე კი, მთავარი: თასების მფლობელთა თასის მოპოვება.

როგორი შედეგი ჰქონდა „ნიუკასლ იუნაიტედს“, „პრემიერ-ლიგის“ ერთადერთ ინგლისურ კლუბს, სადაც ქართველი ფეხბურთელი თემურ ქეცბაია თამაშობს? ვთქვათ თავიდანვე, რომ ქეცბაიას საკმაოდ იშვიათად უხდებოდა ძირითად შემადგენლობაში გამოსვლა (სულ 4 გოლი გაიტანა) „ნიუკასლს“ ძალიან დაეტყო ის, რომ, მთელი ნახევარი სეზონი გააცდინა განთქმულმა სნაიპერმა ალან შირერმა და პირველად თავის პრაქტიკაში შედეგიანი თავდამსხმელების პირველ ოცეულშიც კი ვერ მოხვდა. საერთოდ კი, „ნიუკასლი“ მისთვის ნაკლებად შესაფერის მეცამეტე ადგილზე გავიდა (44 ქულა, ბურთები 35-44), თუმცა სანუგეშო ისა აქვს, რომ გავიდა ინგლისის თასის ფინალში და თუმცა წააგო, მაგრამ მაინც მოიპოვა თასების მფლობელთა თასზე მონაწილეობის უფლება — „არსენალი“ ხომ ჩემპიონთა ლიგაში გამოვა.

დაბოლოს, “პრემიერ-ლიგას“ ტოვებდნენ ისინი, ვინც აქ უკანასკნელ სეზონში გადმოვიდა. „ბოლტინ უინდერერსი“, „ბარნსლი“ და ლონდონის „კრისტალ პალასი“. მათი ძალები, განსაკუთრებით ორი უკანასკნელისა, ასეთი დონის შეჯიბრებისათვის აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა.

ბივი თორელი

## მატჩები. ტრანსფერები...

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მოლაპარაკებას ეწევა საფრანგეთის ჩემპიონ „ლანის“ მესვეურებთან კამერუნელ ნახევამცველ ფოეს გადაბირებაზე. ინგლისელები ხუთი მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობენ ფეხბურთელში, ხოლო ფრანგები ექვს მილიონს აფასებენ. მორიგება მიმდინარეობს. პსვ „ეინდჰოვენის“ მარცხენა განაპირა მცველი არტურ ნუმანი მომავალი სეზონიდან შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსში“ ითამაშებს. „რეინჯერსში“ იმუშავებს პსვ-ს მწვრთნელი დიკ ადვოკაატიც.

იაპონიაში მიმდინარეობს კირიმის თასის გათამაშება. მასპინძელთა ნაკრები 1-1 ეთამაშა პარაგვაის. პარაგვაელთაგან გოლი სელსო აიალამ გაიტანა, ხოლო მასპინძელთაგან ჯომ.

რიო-დე-ჟანეიროს კარიოკას ჩემპიონი „ვასკო და გამა“ გახდა. მათ 18 ქულა დააგროვეს, მეორეზე რომარიოს „ფლამენგოა“ — 11, მესამეზეა „ბანგუ“ — 10. რიოს შარშანდელი ჩემპიონი სახელგანთქმული „ბოტაფოგო“ ლიდერებს მიღმა დარჩა.

საფრანგეთის სამხრეთში ქალაქ ტულონში მიმდინარეობს 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ტურნირი-ფესტივალი. ბრაზილიის ნაკრებმა 3-1 სძლია გერმანიის იუნიორებს. 2 გოლი ერიბერტომ გაიტანა, 1 ადაილტონმა. ინგლისმა 0-2 წააგო არგენტინელ თანატოლებთან, ხოლო ჩინელებმა 1-0 სძლიეს პორტუგალიელებს.

მოამზადა ბია ახალაძემ

ლოთარ მათეუსი, რომელიც ბუნდესტრეინერმა ბერტი ფოგტსმა ეროვნულ გუნდში დააბრუნა და საფრანგეთი — 98-ზე მიჰყავს, გერმანიაში სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მან თვით სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი ოლივერ ბირჰოფი (27 გოლი) ჩამოიტოვა. მესამეზე კი „კაიზერსლაუტერნის“ ფორვარდი ოლაფ მარშალი გავიდა.

ლოთარ მათეუსმა კიდევ ერთი რამით გაიხარა — მისმა „ბაიერნმა“ გერმანიის თასის ფინალში „დუისბურგს“ სძლია. მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა, რადგან პირველ ტაიმში უპირატესობას დუისბურგელები ფლობდნენ და მათმა ტოგოელმა ფორვარდმა ბაშირუ ზალუმ ანგარიშიც გახსნა. მაგრამ მეორე ნახევარში ბავარიელები გამოფხიზლდნენ — ჯერ ბაბელმა გაქვითა ერთი გოლი, მერე კი ბასლერმა თავისი საფირმო საჯარიმოთი 89-ე წუთზე გამარჯვება მოუტანა მიუნხენის „ბაიერნს“.



## მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან



# იტალიელები



1934 წლის მსოფლიო ჩემპიონი იტალიის ეროვნული ნაკრები. დგანან (მარცხნიდან): კომბი, მონტი, ფერარისი IV, ალემანდი, გუაიტა, ფერარი; სხედან — სკიაფიო, მეაცა, მონწუგლიო, ბერტოლინი, ორსი

## ვიტორიო პოცოს ორი ოქრო

იტალიელები მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ფიფას 1932 წლის კონგრესზე ძალიან შეეცადნენ და მეორე ჩემპიონატის ჩატარების უფლება მიიღეს. მათ მართლაც ბევრი რამ გააკეთეს ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. საინტერესოა, რომ რკინიგზის ბილეთების ფასი ჩემპიონატის დღეებში 70 პროცენტით შემცირდა. გამოიცა პირველობისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკები, იყიდებოდა სიგარეტები, რომელსაც „მსოფლიო თასი“ ერქვა. მოეწყო მატჩების რადიოტრანსლაცია მთელი მსოფლიოსათვის. ერთი სიტყვით, გაითვალისწინეს ყველა მსხვილმანი და წვრილმანი. ერთადერთი, რასაც ვერაფერი მოუხერხეს, იყო ის, რომ იმ დროს იტალიაში დიდი სიცხე იდგა, ზოგჯერ 35 გრადუსიც კი იყო...

იტალიელმა ორგანიზატორებმა ისიც დაადგინეს, რომ გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელები მონტი, ორსი, გუაიტა და დემარია იტალიური წარმოშობისანი იყვნენ და ისინი თავიანთ ნაკრებში ჩარიცხეს. „სკუადრა აძურა“ მკვეთრად გაძლიერდა.

ერთი მხრივ, იტალიელებს ძალიან გაუმართლათ — მათ მართლაც რომ შესანიშნავი მწვრთნელი ჰყავდათ. ვიტორიო პოცო დაიბადა ტურინში 1886 წელს. იგი „ტორინოს“ ფეხბურთელი და კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. 1912 და 1924 წლებში სათავეში ედგა იტალიის ოლიმპიურ ნაკრებს. 1929 წელს იტალიის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი გახდა და 1948 წლამდე ამ პოსტზე დაჰყო. მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა 87 მატჩი გამართა, აქედან 60 მოიგო, 16 ფრედ დაასრულა და 11 წააგო. გარდაიცვალა 1968 წლის 24 დეკემბერს. როგორც ვიტორიო პოცო თავის მოგონებებში წერდა, მან ჩემპიონატის წინ ბევრი იმოგზაურა და საგულდაგულოდ შეისწავლა ყველა სავარაუდო მეტოქის თამაში.

აი ერთი საინტერესო ნაწყვეტი მისი მოგონებებიდან: „ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე მყავდა ნაკრების 70 კანდიდატი! მარტში, აპრილსა და მაისში ჩატარებული საკონტროლო მატჩების შემდეგ მათი რიცხვი ჯერ 58-მდე შემცირდა, შემდეგ 38-მდე. სტრესაში ნაკრების წინასწარი მზადებისას გამოვიძახე 30. მკაცრი სამედიცინო შემოწმების შემდეგ ერთი მათგანი დავითხოვეთ. ფლორენციაში შეკრებაზე გამოვიძახე 29. ესეც ძალზე ბევრი იყო, შვიდით უნდა შემემცირებინა. ყველა ძალზე ძლიერი იყო, ვერც ერთს ვერ ველეოდი. ფიფას ვთხოვე ნაკრების წევრების რიცხვი (დადგენილი 22) გაეზარდა. არაფერი გამოვიდა. სანამ მოთამაშეებს შევამცირებდი, მე ჩემი დამემართა. მძიმე წუთები გადავიტანე“.

პირველი მატჩი იტალიელებს აშშ-ს ნაკრებთან ჰქონდათ. სად ამერიკელი მოყვარულები და სად პოცოს გამობრძმედილი პროფესიონალები. 7-1 — ასე გაიმარჯვა „ცისფერმა გუნდმა“. გოლები გაიტანეს სკიავიომ — 3, ორსიმ — 2, ფერარიმ და მეაცამ — თითო.

მეოთხედფინალში იტალიელებს გაცილებით უფრო ძნელი მეტოქე შეხვდათ — ესპანელები. მატჩი მაყურებლებით სავსე ფლორენციის სტადიონზე გაიმართა. „ამ შეხვედრის დავიწყება შეუძლებელია“ — წერდა იტალიური პრესა. გუნდები ერთმანეთის ღირსნი აღმოჩნდნენ, მაღალი ხელოვნება გამოავლინეს. ესპანეთის ნაკრებს ჯერ კიდევ 1920 წლის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული „ლა ფურია ესპანიოლას“ უწოდებდნენ. დასაწყისში მათ ჰქონდათ კიდეც უპირატესობა, მაგრამ იტალიელებმა თანდათან გაათანაბრეს თამაში. 31-ე წუთზე რეგეიროს მიერ გატანილმა გოლმა იტალიელები ძალიან გაანერვიულა. მათ უხეშობა დაიწყეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ყოფილმა არგენტინელმა, „პამპასების ხარად“ წოდებულმა მონტიმ. იტალიელები მეორე ტაიმში განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ კარს დიდებულად იცავდა ზამორა. ფერარიმ მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება და 120 წუთი თამაშის მიუხედავად მატჩი მაინც ფრედ — 1-1 დასრულდა. დაინიშნა გადათამაშება მეორე დღისთვის. ესპანელთა ნაკრების ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოთამაშეთა გადაღლა და წინა შემადგენლობიდან სულ 4 კაცი დატოვა, თვით ზამორაც კი დაასვენა. აი გუნდების შემადგენლობები მეორე დღეს: იტალია — კომბი, მონცელიო, ალემანდი, ფერარისი IV, მონტი, ბერტოლინი, გუაიტა, მეაცა, ბორელი II, დემარია, ორსი (იტალიელებმა დაასვენეს ძირითადი თავდამსხმელები სკიავიო და ფერარი). ესპანეთი — ნოგასი, საბალო, კინკოსესი, სილაურენი, მუგერსა, ლეკუე, ვანტოლრა, რეგეირო, კამპანალი, ჩაჩო, ბოში. ზამორას არყოფნამ მაინც ძალიან იმოქმედა. თანაც თამაშის დასაწყისშივე უხეშად მოთამაშე მონტიმ მწყობრიდან გამოიყვანა ბოში, მეორე ტაიმში კი ჩაჩოც. დიდი კამათი გამოიწვია კამპანალის მიერ იტალიელების კარში გატანილმა, მაგრამ არჩათვლილმა გოლმა. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 78-ე წუთზე ორსის მიერ კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ მეაცამ თავით (ესპანელების სიტყვით ხელის დახმარებით) გაიტანა.

ამ მატჩის შემდეგ პოლემიკა დიდხანს არ დამცხრალა. ერთნი თვლიდნენ, რომ ესპანელები ნამდვილი ჩემპიონები იყვნენ, რომლებსაც გვირგვინი მოსტაცეს. სხვები — რომ ეს შეხვედრა სადმე ნეიტრალურ მინდორზე უნდა გადათამაშებულიყო. მესამეთა აზრით, შედეგი, უბრალოდ, უნდა გაეუქმებინათ, რადგან მსაჯმა აშკარად მიკერძოება გამოიჩინა, ხელით გატანილი გოლი ჩათვალა.



1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი, ლეგენდარული მეკარეები, ეროვნული ნაკრებების კაპიტნები, იტალიელი კომბი (მარცხნივ) და ესპანელი ზამორა მატჩის წინ

ამ მეტისმეტად დაძაბული შეხვედრების შემდეგ იტალიელები ნახევარფინალში ავსტრიის „ვუნდერტიმს“ შეხვდნენ, რომელმაც მანამდე ფრანგებსა და უნგრელებს მოუგო. მატჩი მილანის „სან-სიროზე“ შედგა, ძლიერ თავსხმაში. ეს ავსტრიელებისათვის მეტად საზიანო იყო, თავიანთ დახვეწილ ტექნიკას ასეთ მინდორზე ვერ გამოიყენებდნენ. რაც შეეხება ფიზიკურ ძალას, იგი იტალიელებს მეტი აღმოაჩნდათ. ვნახოთ, როგორ იგონებს ამ შეხვედრას ვიტორიო პოცო: „აქამდე ავსტრიელებს 13-ჯერ შევხვდით. უკანასკნელად 1934 წლის 11 თებერვალს ტორინოში და წავაგეთ 2-4. ერთადერთი გამარჯვება 1931 წელს მოვიპოვეთ და ამიტომაც ძალიან გვეშინოდა. მათ ხომ შესანიშნავი ოსტატები ჰყავდათ: სახელოვანი მეკარე ჰიდენის მემკვიდრე პლაცერი, მცველი სესტა, გუნდის კაპიტანი, ნახევარმცველი სმისტიკი, თავდასხმა, რომელსაც სინდელარი ლიდერობდა, მის მარჯვნივ ახალგაზრდა ბიკანი. ერთმა, ერთადერთმა გოლმა დაამხო ამ გიგანტურ ბრძოლაში საფეხბურთო ქალაქების უგვირგვინო მეფე — ვალსის დედაქალაქი ვენა. არასოდეს დამავიწყდება ამ მატჩის გადამწყვეტი წუთი. მე-19 წუთზე ფერარის IV მწვავე, გრძელი დიაგონალური გადაცემით მეტოქის კარის წინ გაიყვანა ორსი. მან ბურთი სკიავიოს გადასცა, რომელმაც ძლიერად დაარტყა, მაგრამ პლაცერმა რაღაც სასწაულით მოიგერია. ახლა ბურთი უკვე მეაცას მიუვიდა, პლაცერმა ესეც მოიგერია, მაგრამ მცველები დროზე არ დაეხმარნენ და გუაიტამ მესამე დარტყმით გაიტანა გოლი“.

ფინალური მატჩი რომში გაიმართა. იტალიელები ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს ეთამაშებოდნენ, რომელმაც მანამდე დაამარცხა რუმინეთის, შვეიცარიისა და გერმანიის გუნდები. აი ფინალური მატჩის მონაწილეთა შემადგენლობები ***იტალია*** — კომბი, მონზელიო, ალემანდი, ფერარისი IV, მონტი, ბერტოლინი, გუაიტა, მეაცა, სკიავიო, ფერარი, ორსი. ***ჩეხოსლოვაკია*** — პლანიჩკა, ჟენიშეკი, ტჩიროკი, კოშჩალეკი, ჩამბალი, კერჩილი, იუნეკი, სვობოდა, სობოტკა, ნეედლი, პუჩი.

მატჩს 50 ათასი გულშემატკივარი დაესწრო, უამრავი კი უბილეთოდ დარჩა. მას 255 ჟურნალისტი აშუქებდა — იმ დროისათვის ძალზე ბევრი. აი პატარა ნაწყვეტი სახელოვან მეკარე ფრანტიშეკ პლანიჩკას მოგონებიდან: „იტალიელები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი. შინ თამაშობდნენ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე, სიცხეც ხელს უწყობდათ. როგორც შემდეგ გამოირკვა, მსაჯიც. ბატონმა ეკლინდმა (შვეცია) მატჩის წინ დაგვიბარა კაპიტნები — კომბი და მე. გვითხრა, რომ ყოველგვარ არასპორტულ ქმედებას აღკვეთდა, ზუსტად იმსაჯებდა, უხეშობას არავის აპატიებდა. ამის შემდეგ იგი სამეფო ლოჟაში ავიდა და მუსოლინისაგან „კურთხევა“ მიიღო.

მატჩი იტალიელებმა მოიგეს. თუმცა, ამას დამატებითი დრო დასჭირდა. ანგარიში პუჩმა გახსნა, საპასუხო გოლი ორსიმ გაიტანა, გადამწყვეტი კი სკიავიომ — 2-1.

ამრიგად, იტალიელები პირველად გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები. მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში მოხვდნენ მონტი, მეაცა, ფერარი და ორსი.

მსოფლიოს მესამე ჩემპიონატი, თუ ფიფას მიერ დადგენილ წესებს დაიცავდნენ, სამხრეთ ამერიკაში უნდა ჩატარებულიყო, მით უმეტეს, რომ არგენტინელები ამას დაჟინებით მოითხოვდნენ. მაგრამ თვით ფიფას ხელმძღვანელობამ, სადაც წამყვან როლს სწორედ ფრანგები ასრულებდნენ, გადაწყვიტა პირველობა საფრანგეთში გამართულიყო.



1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში იტალიელებმა ანგარიშით 4-2 დაამარცხეს უნგრელები და ზედიზედ მეორედ მოიპოვეს უძლიერესის სახელი. სურათზე: იტალიის ეროვნული ნაკრები; შუაში იტალიელთა მთავარი მწვრთნელი ვიტორიო პოცო „ოქროს ნიკეთი“.

*ფოტოები „ლელოს“ არქივიდან*

იტალიელებს მსოფლიო პირველობისათვის კვლავ ვიტორიო პოცო ამზადებდა. 1934 წლის შემადგენლობიდან სულ სამი ფეხბურთელი დარჩა: მეაცა, ფერარი და მონცელიო. მეკარეები კომბი და ჩერესოლი შეცვალა ასეთივე მაღალი კლასის ოლივიერიმ, მონტი — ანდრეოლომ, რომელიც „პამპასების ხარს“ ტემპერამენტითაც ჩამოუვარდებოდა და სიმტკიცითაც, დაცვაში ოლიმპიური ნაკრებიდან მოვიდა ორი ჩინებული ოსტატი: ფონი და რავა, იგივე ნაკრებში თამაშობდა ადრე ნახევარმცველი ლოკატელი. ძველი თავდამსხმელები გუაიტა, სკიავიო და ორსი შეცვალეს პასინატიმ, ბიავატიმ, პიოლამ და კოლაუსიმ. მოვუსმინოთ ვიტორიო პოცოს: „გუნდი ერთი ენერგიული ბლოკით იყო შეკრული. ინდივიდუალური ოსტატობისა და ტექნიკის თვალსაზრისით იგი ჩამოუვარდებოდა 1934 წლის ნაკრებს, მაგრამ გაცილებით აღემატებოდა მას, როგორც კოლექტივი.“ მის მომზადებაში განსაკუთრებული როლი, გასაგებია, თვით ვიტორიო პოცომ შეასრულა.

მსოფლიო პირველობა იტალიელებისათვის დაიწყო ნორვეგიელებთან მეტისმეტად მძიმე მატჩით. სკანდინავები აღმავლობით, დიდი ენერგიით თამაშობდნენ. პირველ ტაიმში ანგარიში ფერარიმ გახსნა, მაგრამ თამაშის მეორე ნახევარში ნორვეგიელები ძალიან ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. ჯერ იყო და ბრუსტადმა უკან ჩამოიტოვა იტალიის ნაკრების ყველა (!) მცველი და გაათანაბრა ანგარიში. ეს თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე მოხდა. გავიდა კიდევ 3 წუთი და იმავე ბრუსტადმა მეორე გოლიც გაიტანა, რომელიც ავსტრიელმა მსაჯმა ბერანეკმა სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო არ ჩათვალა. ამის შემდეგ ბრინჰოლდსენი ერთიერთზე დარჩა ოლივიერისთან, მაგრამ იტალიელმა მეკარემ იხსნა თავისიანები. დაინიშნა დამატებითი დრო. 94-ე წუთზე სილვიო პიოლამ გაიტანა გოლი — 2-1. იტალიელებმა კი გაიმარჯვეს, მაგრამ მარსელის სტადიონი მაყურებლების გამაყრუებელი სტვენით დატოვეს. ერთი სიტყვით, პირველ მატჩში მსოფლიო ჩემპიონები აშკარად გადარჩნენ.

უფრო იოლი აღმოჩნდა მეოთხედფინალური მატჩი ფრანგებთან. იტალიელები უკვე აღარ თამაშობდნენ ისე შებოჭილად, როგორც პირველ შეხვედრაში. შეუჩერებელი იყო პიოლა, ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი. მან ორი გოლი გაიტანა, ერთი კლაურიმ, მატჩის საბოლოო ანგარიში იყო 3-1 იტალიელების სასარგებლოდ.

ნახევარფინალური მატჩი ბრაზილიელებთან, რომელსაც ეწოდა „ფინალი ნახევარფინალში“, შემდეგში დაწვრილებით შეისწავლეს. იგი, უპირველეს ყოვლისა, იტალიელების ტაქტიკური უპირატესობით აღინიშნა. ამასთან, ბრაზილიელებს არა ჰყავდათ თავიანთი უძლიერესი ფეხბურთელი ლეონიდასი. ბრაზილიელები მწყობრიდან გამოიყვანა იტალიელების მკაცრმა პრესინგმა. სამხრეთამერიკელებმა უხეშობა დაიწყეს, დაშავდნენ პიოლა, კოლოვატი და კოლაუსი, საბედნიეროდ, არც ისე მძიმედ. იტალიის ნაკრები მართლაც რომ საგანგებოდ იყო ფიზიკურად მომზადებული, იგი დიდი ძალებით უტევდა და ასევე დიდი ძალებით იცავდა თავს. ბრაზილიელები მატჩის შემდეგ ძალიან უჩიოდნენ შვეიცარიელ მსაჯს ვიუტრიხს, რომელმაც, მათი აზრით, უსაფუძვლოდ დანიშნა პენალტი, პიოლამ გახსნა ანგარიში. შემდეგ მეაცამ გაზარდა ანგარიში და რომეოს საპასუხო გოლმა ბრაზილიელები ვერ იხსნა. 2-1 — იტალიელები ფინალში გავიდნენ.

ფინალური მატჩი 1938 წლის 19 ივნისს გაიმართა პარიზის სტადიონ „კოლომბზე“. მას საფრანგეთის პრეზიდენტი ლებრენი ესწრებოდა. შეხვედრა ბელგიელ ლანკენუსს უნდა ემსაჯა, მაგრამ იტალიელებმა აცილება მისცეს და იგი ფრანგ ჟორჟ კაპდევილით შეიცვალა.

ვიტორიო პოცოს მოგონებიდან: „16 ივნისს, როგორც კი ბრაზილიელებს მოვუგეთ, დავბრუნდით სენ-ჟერმენის სასტუმროში. ბურთს უკვე აღარ მივკარებივართ, ვისვენებდით. ჩვენი დღის პროგრამა სეირნობისაგან, დასვენებისა და პრესის შესწავლისაგან შედგებოდა. უნგრელებს შესანიშნავი ნაკრები ჰყავდათ. თავდასხმას დოქტორი შაროში ლიდერობდა, მისგან მარცხნივ კი ჟენგელერ-ტიტკოშის განთქმული წყვილი მოქმედებდა“.

აი ფინალური მატჩის მონაწილეთა შემადგენლობა: იტალია — ოლივიერი, ფონი, რავა, სერანტონი, ანდრეოლო, ლოკატელი, ბიავატი, მეაცა, პიოლა, ფერარი, კოლაუსი. ***უნგრეთი*** — საბო, პოლგარი, ბირო, სალაი, სიუჩი, ლაზარი, შოოში, ვინცე, დ-რი შაროში, ჟენგელარი, ტიტკოში.

მოვუსმინოთ ისევ ვიტორიო პოცოს: „სტადიონზე ადრე მივედით. ავტობუსიდან ‘არც კი გადმოვსულვართ, ენერგიას ვზოგავდით. ყველა მოთამაშემ ზუსტად იცოდა, მატჩში რა უნდა გაეკეთებინა; მოკლე ცერემონიალი, ჰიმნების შესრულება, მსაჯის სასტვენი. 5 წუთის შემდეგ კი კოლაუსიმ პირველი გოლი გაიტანა. გავიდა ორი წუთიც და ტიტკოშმა გაათანაბრა ანგარიში. 10 ათასი იტალიელი გულშემატკივრის — „იტალია, იტალია!“-მ ენერგია შეგვმატა. პიოლამ, დრიბლინგის, სტრატეგიისა და დარტყმის ამ დიდოსტატმა, კვლავ დაგვაწინაურა. შემდეგ კი კოლაუსიმ ანგარიში გაზარდა: 3-1. შესვენებაზე მოთამაშეებს ჩემი აზრი გავუზიარე, დიდი ლექციის დრო არ იყო და ამასთან, ნაკრები ხომ კარგად აწყობილ მანქანასავით მოქმედებდა. კრიზისი 70-ე წუთზე დადგა, როცა დოქტორმა შაროშიმ განსხვავება შეამცირა 2-3. ამას პიოლას გადამწყვეტი მეოთხე გოლი მოჰყვა“.

4-2 — იტალიელები მეორედ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები. მატჩის შემდეგ უნგრელების მეკარე საბომ მწარე ირონიით თქვა: „არასოდეს არ ვყოფილვარ ასე ბედნიერი! ჩვენ ხომ 11 ადამიანის სიცოცხლე ვიხსენით. მატჩის წინ ჩვენ შევიტყვეთ, რომ მუსოლინიმ იტალიელებს დეპეშა გამოუგზავნა: „გამარჯვება ან სიკვდილი!“

ჩემპიონატის შედეგად მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში 6 იტალიელი შევიდა: მეკარე ოლივიერი, მცველი რავა, ნახევარმცველი ანდრეოლო, თავდამსხმელები პიოლა, მეაცა და კოლაუსი.

**გივი გამრეკელი**

*(დასასრული იქნება)*

# FRANCE 98 INFORMATIONS

## შესარჩევი ეტაპის სტატისტიკა

### 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობა მიიღო 172 ქვეყნის ნაკრებმა

**პირველი** შესარჩევი მატჩი ჩატარდა 1996 წლის 10 მარტს ქალაქ სანტო-დომინგოში და ანტიგუას ნაკრებებს შორის და დაფიქსირდა ფრე 3-3. პირველი ბურთი გაიტანა დომინიკის ნაკრების ფეხბურთელმა *ენტონი დომინიკამ*.

ბოლო შესარჩევი მატჩი ჩატარდა 1997 წლის 29 ნოემბერს, ქალაქ მელბურნში. ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრალიისა და ირანის ნაკრებები და დაფიქსირდა ფრე 2-2. შესარჩევ ციკლში ბოლო ბურთი გაიტანა ირანელმა *ა.მაჰდავი*.

**სულ 1998 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩატარდა 643 მატჩი, გაიტანა 1922 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 2,99 გოლი.

ევროპა: ჩატარდა 228 მატჩი, გატანილია 667 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 2,93 ბურთი. ყველაზე შედეგიანია *იუგოსლავიის* ნაკრები: 12 მატჩში გაიტანა 41 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 3,4.

სამხრეთ ამერიკა: ჩატარდა 72 მატჩი, გატანილია 184 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 2,56 გოლი, ყველაზე შედეგიანია *ჩილეს* ნაკრები, ჩაატარა 16 მატჩი, გაიტანა 32 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 2,0.

აფრიკა: ჩატარდა 91 მატჩი, გატანილია 229 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 2,52 გოლი. ყველაზე შედეგიანია *ტუნისის* ნაკრები, 8 მატჩი – 15 გოლი, საშუალოდ ერთ მატჩში 1,9.

კონკაკაფი: ჩატარდა 98 მატჩი, გატანილია 295 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 3,01. ყველაზე შედეგიანია *მექსიკის* ნაკრები: ჩაატარა 16 მატჩი, გაიტანა 97 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 2,3 ბურთი.

აზია: ჩატარდა 132 მატჩი, გატანილია 459 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 3,48. ყველაზე შედეგიანია *ირანის* ნაკრები, ჩაატარა 17 მატჩი და გაიტანა 57 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 3,3.

ოკეანია. ჩატარდა 22 მატჩი, გატანილია 88 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 4,0. ყველაზე შედეგიანია *ავსტრალიის* ნაკრები. ჩაატარა 8 მატჩი და გაიტანა 34 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 4,2.

**1998 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ყველაზე მეტი მატჩი გამართა *იამაიკის* ნაკრებმა – 20 (ეს ყველა დროის რეკორდია), შემდეგ მოდის ირანის ნაკრები, 17 მატჩი.

**შესარჩევ ეტაპზე** ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა *ირანის* ნაკრებმა – 57 (ესეც ყველა დროის რეკორდია), შემდეგ მოდიან: იაპონიის ნაკრები – 51, იუგოსლავიის ნაკრები – 41.

**1998 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა მალდივისა და ირანის ნაკრებების შეხვედრა 0-17 (ესეც ყველა დროის რეკორდია).

**1998 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის საუკეთესო ბომბარდირი იყო ირანელი *ქარიმ ბაგერი*, რომელმაც გაიტანა 19 გოლი (ესეც ყველა დროის რეკორდია), შემდეგ მოდიან: იაპონელი მიურა – 15 ბურთი; იუგოსლაველი მიატოვიჩი – 14 და ჩილელი სამორანო – 12 და სალასი 11 გოლი.

**ერთ მატჩში** ყველაზე მეტი გოლი გაიტანა ირანელმა *კარიმ ბაგირიმ* – 7 ბურთი (ესეც ყველა დროის რეკორდია).

**1998 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში გასული ქვეყნების ნაკრები გუნდების საუკეთესო ბომბარდირებია: (ბრაზილია, როგორც ჩემპიონი და საფრანგეთი, როგორც მასპინძელი ქვეყანა განთავისუფლებული იყვნენ შესარჩევი ციკლისაგან):

ბ. ლაუდრუპი – 4 გოლი (დანია), შირერი – 5 (ინგლისი), რავანელი – 3 (იტალია), შუკერი – 5 (ხორვატია), პოლსტერი – 7 (ავსტრია), გალაპერი – 6 (შოტლანდია), კოსტადინოვი და ბალაკოვი – 5-5 (ბულგარეთი), ოლივეირა – 6 (ბელგია), ბირჰოფი – 6 (გერმანია), ბერგკამპი – 7 (ჰოლანდია), პოპესკუ – 8 (რუმინეთი), მიატოვიჩი – 14 (იუგოსლავია), სოლბაკენი – 4 (ნორვეგია), ალფონსო – 5 (ესპანეთი), ერმოსილიო – 10 (მექსიკა), ბაგერი – 19 (ირანი), მიურა – 15 (იაპონია), ვინალდა – 5 (აშშ), ალ-მუვალდი – 7 (საუდ. არაბეთი), ჩიო-იონგ-სუ – 9 (კორეა), ასპრილია – 7 (კოლუმბია), უიტმორი და ბოიდი – 5-5 (იამაიკა), ორტეგა – 4 (არგენტინა), სამორანო – 12 (ჩილი), ბენიტესი – 4 (პარაგვაი), ამოკაჩი – 4 (ნიგერია), სელიმი – 5 (ტუნისი), მბომა – 4 (კამერუნი), ბასირი – 4 (მაროკო), მასინგა – 4 (სამხ. აფრიკა).

**სულ 1998 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს დაესწრო 15.205.400 მაყურებელი, საშუალოდ ერთ მატჩში – 23.648.



წინა პლანზე ირანელი ქარიმ ბაგერი

ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა ირანი – საუდის არაბეთის მატჩს – 120.000 მაყურებელი. საერთოდ, შესარჩევ ციკლში ირანის ნაკრების საშინაო მატჩებს დაესწრო მაყურებელთა ასეთი რაოდენობა: ირანი – საუდის არაბეთი 120.000; ირანი – ჩინეთი 110.000; ირანი – კატარი 100.000; ირანი – კუვეიტი 100.000; ირანი – ავსტრალია 110.000. საერთო ჯამში საკუთარ მოედანზე ჩატარებულ 5 მატჩს დაესწრო 540.000 მაყურებელი (საშუალოდ ერთ მატჩში – 108.000).

შემდეგი მაჩვენებელი აქვს *მექსიკის* ნაკრებს: მექსიკა – იამაიკა 115 000; მექსიკა – კანადა 90.000; მექსიკა – სალვადორი 110.000; მექსიკა – აშშ 110.000; მექსიკა – კოსტა-რიკა 110.000; საერთო ჯამში 5 საშინაო მატჩს დაესწრო 535.000 მაყურებელი (საშუალოდ 107 000 მაყურებელი).

**შესარჩევი** ციკლი დაუმარცხებლად განვლეს: გერმანიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, რუმინეთმა, ესპანეთმა, ტუნისმა, კამერუნმა და მაროკომ. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც ფინალურ სტადიაში გავიდნენ. ამის გარდა, შესარჩევი ციკლი დაუმარცხებლად ჩაატარეს: ავსტრალიის (8 მატჩი, 6 მოგება, 2 ფრე, ბურთები – 34-5 და სენტ-კისის (4 მატჩი, 2 მოგება და 2 ფრე, ბურთები – 8-3) ქვეყნების ნაკრებებმა, რომლებიც ფინალურ სტადიაში ვერ გავიდნენ.

**მოამზადა მეზხვია ჯალაღონიამ**
**აფხაზეთი, სოფ. ფშაფი**

## ბრაზილია: მინუს სანტოსი და კონსეისაო

რამდენიმე დღის წინათ „ლელომ“ გაგაცნოთ მარიო ზაგალოს მიერ დასახელებული 22 ფეხბურთელი, რომლებიც საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრებიან. მათ შორის მცველები მარსიო სანტოსი და ფლავიო კონსეისაო. და აი, ცნობილი გახდა, რომ ისინი ტრავმის გამო [illegible] მონაწილეობას ვერ მიიღებენ. სავარაუდოა, რომ ისინი კრუზმა და ზე კარლოსმა შეცვალონ.

## რუმინეთი: ანგელი ძველ გვარდიას ენდობა

ბალკანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ (როგორც ცნობილია, [illegible] 2000-ის შესარჩევ [illegible]) დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც საფრანგეთში წავლენ. ესენი: *მეკარეები* — ბოგდან სტელეა, [illegible]; *მცველები* — დან პეტრესკუ, [illegible]; *ნახევარმცველები* — [illegible] — კონსტანტინ გალჩა, გაბრიელ პოპესკუ, ოვიდიუ სტინგა, გეორგე ჰაჯი, დორინელ მუნტეანუ, ლივიუ ციორბანუ; *თავდამსხმელები* — მარიუშ ლეკატუში, ადრიან ილიე, გეორგე კრაიოვეანუ, ილია დუმიტრესკუ, რადუ ნიკულესკუ, ვიორელ მოლდოვანი.

როგორც ხედავთ, იორდანესკუ საფრანგეთში აქცენტს კვლავ ძველ გვარდიაზე აკეთებს. ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელებიდან რადუჩოუ აკლია, დანარჩენები მწყობრში არიან.

## დაუბრუნდება ბლატერი ჟურნალისტიკას?

„თუ ფიფას პრეზიდენტად არ ამირჩევენ, ამით ტარგედიას არ შევქმნი. არც ფეხბურთს, არც პირადად ზეპ ბლატერს დაუშავდება რამე. ასეთ შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემს მისიას შევასრულებ. და მერე გენერალური მდივნის მანდატს სხვას გადავცემ. მე კი ჩემს პირველ სიყვარულს — ჟურნალისტიკას დავუბრუნდები“. თქვა ფიფას გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა ამ დღეებში აზიის ფეხბურთის კონფედერაციის კონგრესის დამთავრების შემდეგ. ამ თავყრილობაზე, რომელიც ფიფას პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი — 62 წლის ბლატერი და 68 წლის უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონიც ესწრებოდნენ, მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ: ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა, კორეელმა ჩანგ მონგ იონმა საჯაროდ განაცხადა, რომ აზიის ქვეყნების საფეხბურთო ასოციაციათა აბსოლუტური უმრავლესობა 8 ივნისის პარიზის კონგრესზე მხარს დაუჭერს შვედ იუჰანსონს. მაშ ასე, უეფა, აფრიკისა და აზიის კონფედერაციები მომავალ არჩევნებში იუჰანსონის მხარეზე დადგებიან. საქმე იქითკენ მიდის, რომ იგივეს გაიმეორებენ მსოფლიოს სხვა საფეხბურთო კონფედერაციები. ამგვარად, არჩევნების ბედი ბევრს უკვე გადაწყვეტილად მიაჩნია. ვითომ მალე დაუბრუნდება ზეპ ბლატერი ჟურნალისტიკას?

## იმედისმომცემი 9 გოლი

1997-98 წლის სეზონი იურგენ კლინსმანმა ჯერ მიუნხენის „ბაიერნში“ დაიწყო, მერე გენუის „სამპდორიაში“ გააგრძელა და ლონდონის „ტოტენჰემში“ დაასრულა. მისმა თამაშმა გერმანიასა და იტალიაშიც დიდი კრიტიკა გამოიწვია, თვლიდნენ, რომ თითქოს უნდა დაესრულებინა კიდეც თამაში, მაგრამ დაასრულა... „ტოტენჰემ ჰიტსპურსში“ ტრიუმფით. საქმე ის არის, რომ სწორედ მან გადაარჩინა ლონდონის კლუბი უმაღლესი ლიგიდან გავარდნისაგან. კლინსმანმა ინგლისში თუმცა ცოტა ითამაშა, მაგრამ 9 გოლი გაიტანა, მეტი, ვიდრე ნებისმიერმა მისმა თანაკლუბელმა.

ეს გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელებსაც გარკვეულ იმედებს აძლევს

## განთქმული მოდელიორის საჩუქარი

ყველა არბიტრს, რომელიც საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს იმსაჯებს, განთქმულმა ფრანგმა მოდელიორმა ივ სენ-ლორანმა საჩუქრად უნდა გადასცეს სპეციალურად შეკერილი კოსტუმები; რომლებსაც ისინი თავისუფალ დროს ატარებენ.

სულ შეკერავენ 3500 კოსტუმს, რომლებიც ფრანგულ ეროვნულ ფერებშია შესრულებული. მსაჯების გარდა, მას საჩუქრად მიიღებენ ფიფას ოფიციალური პირები და ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები. გარდა დიდი თანამდებობის პირებისა, ივ სენ-ლორანი ჩემპიონატის მომსახურე პერსონალსაც დაასაჩუქრებს.

## გულუხვი ფედერაცია

შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა გულუხვად დაასაჩუქროს ნაკრების თავგამოდებული გულშემატკივრები. ისინი, ვინც ნაკრებს ადრე ტალინში წაჰყვა ესტონეთის ნაკრებთან შესარჩევ მატჩზე (იგი არ შედგა და მოგვიანებით ჩაატარეს) ახლა საშუალებას მიიღებენ დაესწრონ მსოფლიო პირველობის პირველი ეტაპის შეხვედრებს, თუმცა ბილეთების შოვნა იოლი ამბავი არ იყო.

გარდა ამისა, საფრანგეთში გაემგზავრებიან ის გულშემატკივრებიც, რომლებიც მეტოქის მინდვრებზე და სამ და მეტ შესარჩევ მატჩს დაესწრნენ.

## «არ მივყავართ? — დიდი ამბავი!»

კომენტატორების აზრით, „ბლეკბერნ როვერსის“ თავდამსხმელ კრის სატონს (17 გოლი ჩემპიონატში). თავის თამაშზე, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს, ისე კი, ურიგო ოსტატი ნამდვილად არ არის.

რაც ნაკრების მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა იგი ერთ-ერთ შეკრებაზე გამოიძახა და თან აცნობა, რომ მეორე შემადგენლობაში ითამაშებდა, სატონს ეწყინა და არ ჩავიდა. „მსოფლიო ჩემპიონატზე არ წამიყვანენ? არა უშავს, წავალ, დავისვენებ, სეზონისათვის უკეთ მოვემზადები. დიდი ამბავი! მსოფლიო ჩემპიონატს ტელევიზიით ვუყურებ“.

## როცა მწვრთნელს არ ეთანხმები

ჯონ ჰარკსი მსოფლიოს ბოლო ორი ჩემპიონატის მონაწილე იყო. ახლა კი, როგორც ცნობილი გახდა, იგი საფრანგეთში ვერ გაემგზავრება. რატომ?

„ნაკრებში ჯონისათვის ადგილს ვერ ვხედავ“ — განაცხადა აშშ-ს ნაკრების მწვრთნელმა სტივ სემპსონმა და უფრო დაწვრილებითი კომენტარისაგან თავი შეიკავა.

აი, რაში ყოფილა საქმე. მწვრთნელისა და ვეტერან ჰარკსის (ნაკრებში 90 მატჩი) უთანხმოების მიზეზი ის ყოფილა, რომ ჰარკსს არ მოუნდომებია მარცხენა მცველის პოსტზე თამაში. იგი ხომ ადრე ნაკრებში, შემდეგ ინგლისურ კლუბებში „შეფილდ უენსდეისა“ და „დერბი ქაუნთში“, ახლა კი „ვაშინგტონ დი-სი იუნაიტედში“ შუა ხაზზე თამაშობდა. სემპსონი კი თვლის, რომ დღეისათვის გერმანული „ვოლფსბურგის“ მარცხენა ნახევარმცველი. ჩად დირინგი ჰარკსზე უკეთ თამაშობს.

## „ჩელსის“ კაზირაგი სურს

იტალიური გაზეთ „პაეზე სერას“ ცნობით, რომის „ლაციოსა“ და ლონდონის „ჩელსის“ კლუბებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება თავდამსხმელ *პიერლუიჯი კაზირაგის* ტრანსფერთან დაკავშირებით. „ჩელსი“ მზად ყოფილა 29 წლის ფორვარდში გადაიხადოს 10 მილიონი დოლარი, იტალიელები კი 12-ს ითხოვენ. თუ გარიგება გაიჩარხა, კაზირაგი ლონდონურ კლუბში მეოთხე იტალიელი ლეგიონერი იქნება ჯანლუკა ვიალის, რობერტო დი მატეოს და ჯანფრანკო ძოლას შემდეგ. „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში კაზირაგის 44 მატჩი აქვს ჩატარებული, მის მიერ გატანილი გოლების რაოდენობა კი 13-ია. ჩეზარე მალდინიმ ამას წინათ იგი საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში გასამგზავრებელ უცილობელ კანდიდატად დაასახელა.

## რა ძვირი ყოფილხარ, ანდრეი!

ამას წინათ შეგატყობინეთ, რომ შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს“ ახალი მთავარი მწვრთნელი — ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი ჰყავს. მან „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობას კიევის „დინამოს“ ფორვარდის *ანდრეი შევჩენკოს* შეძენა შესთავაზა. ჰოდა, როდესაც ბრიტანული კლუბის წარმომადგენლებმა უკრაინული გუნდის მეპატრონესა და პრეზიდენტს გრიგორი სურკისს მიმართეს, რა ღირს ეგ თქვენი ფეხბურთელიო, მან არც აცია, არც აცხელა და 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოითხოვა. შოტლანდიელები სახტად დარჩნენ: ამხელა თანხის გადამხდელები ნაღდად არა ვართ, ჰაჰა, 9 მილიონს მოვუყაროთ თავიო. ამბობენ, ორ კლუბს შორის მოლაპარაკება მაინც გაგრძელდებაო.

## მსოფლიო ჩემპიონატების ყველაზე გახმაურებული სკანდალები

**1930 წელი. არგენტინა – მექსიკა 6-3.**

ბოლივიელმა მსაჯმა საუსედომ დანიშნა 11-მეტრიანების რეკორდული რაოდენობა – 5 და აქედან 4 – მექსიკელთა კარში. უკანასკნელ წუთებზე გამძვინვარებული მექსიკელი მაყურებელი გადაცვივდა მინდორზე და მსაჯმა გაქცევით უშველა თავს. მსაჯი რომ გარბოდა, მაშინ მისცა მატჩის დამთავრების ნიშანი.

**1934 წელი. იტალია – ჩეხოსლოვაკია 2-1**

28 წლის შვედი მსაჯი ეკლუნდი (ყველაზე ახალგაზრდა მსაჯი, რომელიც სჯიდა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალს) თამაშის დაწყების წინ იმყოფებოდა მუსოლინის ლოჟაში, სადაც „დუჩემ“ მოუწყო სასიამოვნო მიღება, რის შემდეგ მთელი შეხვედრის განმავლობაში შვედი მსაჯი ემხრობოდა იტალიელებს. შემდგომში ეკლუნდმა თავის სამშობლოში მიიღო ზედმეტი სახელი „რომის გრაფი“.

**1938 წელი. შვეიცარია – გერმანია 4-2.**

ამ შეხვედრაში გერმანელთა დამარცხება გერმანიის სპორტულმა ფუნქციონერებმა გადააბრალეს 5 ავსტრიელ ფეხბურთელს, რომლებიც ამ მატჩში გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდნენ (ორი თვით ადრე გერმანიამ დაიპყრო ავსტრია). მათ წაუყენეს ბრალდება „მატჩის ჩაბარების გამო.

**1954 წელი. უნგრეთი – ბრაზილია 4-2**

ერთ-ერთი ყველაზე უხეში მატჩი მსოფლიო ჩემპიონატებზე (4 გაძევება). 71-ე წუთზე ჩხუბისათვის გააძევეს ბოჟიკი და ნილტონ სანტოსი. მატჩის შემდეგ ორივე გუნდის ფეხბურთელები ვერ დამშვიდდნენ და გასახდელში განაგრძეს ჩხუბი.

**1962 წელი. ჩილე – იტალია 2-0.**

მთელი შეხვედრის განმავლობაში იყო კონფლიქტები, ჩხუბი, ორივე გუნდის ფეხბურთელები ერთმანეთის პროვოცირებას ცდილობდნენ. მაგრამ ინგლისელი მსაჯი აძევებდა მხოლოდ იტალიელ ფეხბურთელებს. 42-ე წუთზე ჩილელმა ფეხბურთელმა სახეში სთხლიშა იტალიელს, მსაჯმა კი მინდვრიდან იტალიელი გააძევა. ამ მატჩმა მიიღო „სანტიაგოს ბრძოლის“ ზედმეტსახელი.

**1966 წელი. ინგლისი – არგენტინა 1-0**

ეს იყო ყველაზე სკანდალური მატჩი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. როცა ანგარიში იყო 0-0, გერმანელმა მსაჯმა კრაიტლაინმა გააძევა არგენტინელთა კაპიტანი – რატინი. კაპიტანი არ დაემორჩილა მსაჯის გადაწყვეტილებას და არგენტინელებმა მინდორზე ჩხუბი ატეხეს და პროტესტის ნიშნად დატოვეს სარბიელი. მხოლოდ 10 წუთის შემდეგ განახლდა მატჩი. კაცნაკლულმა არგენტინელებმა გაუშვეს გოლი და დამარცხდნენ. მატჩის შემდეგ არგენტინელებმა მოაწყვეს გრანდიოზული არეულობა გასახდელში. ინგლისელმა მწვრთნელმა ალფ რამსეიმ სატელევიზიო გამოსვლაში არგენტინელ ფეხბურთელებს უწოდა „ცხოველები“. ბუენოს-აირესში არგენტინელმა გულშემატკივრებმა დაარბიეს ინგლისის საელჩო. მომწიფდა საერთაშორისო სკანდალი. ინგლისელებმა დახმარებისათვის მიმართეს ფიფას.

**1966 წელი. ინგლისი – გფრ 4-2**

ყველაზე სკანდალური ფინალი. შვეიცარიელმა მსაჯმა დინსტმა გვერდითი მსაჯის ბახრამოვის მეშვეობით, დამატებით დროში, როცა ანგარიში იყო 2-2, ჩათვალა ჰერსტის ბურთი, რასაც გერმანელთა აღშფოთება მოჰყვა. გერმანიაში ბახრამოვმა მიიღო ზედმეტი სახელი „მისტერ „ცვაი-დრაი“ (მისტერ 2-3).

**1970 წელი. სალვადორი – ჰონდურასი 3-2.**

ეს იყო 1970 წლის შესარჩევი მატჩი, რომელიც ჩატარდა ნეიტრალურ მინდორზე – მეხიკოში. მატჩის შემდეგ, რომელიც დამთავრდა სალვადორელთა გამარჯვებით, ჰონდურასის რადიომ გამოაცხადა, რომ სალვადორელებმა ჰონდურასის დროშა და ჰიმნი ფეხქვეშ გათელეს. ეს გახდა სიგნალი, რომ დაერბიათ ჰონდურასში მცხოვრები სალვადორელები. ას კაცზე მეტი დაიღუპა. სახელმწიფოებმა გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობები და გადავიდნენ საომარ მოქმედებაზე ტანკების, თვითმფრინავებისა და სხვა საბრძოლო ტექნიკის გამოყენებით. ამ ბრძოლის შემდეგ დაიღუპა სამი ათასზე მეტი ადამიანი და ექვსი ათასზე მეტი დაიჭრა. მართალია, ამ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობა სხვა სფეროშიც იყო, ფეხბურთი გამოდგა ბრძოლის დაწყების საბაბი და ისტორიაში ეს ომი შევიდა „საფეხბურთო“ სახელით.

**1978 წელი. არგენტინა – პერუ 6-0**

ამ მატჩმა მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არგენტინა – პერუ და ბრაზილია – პოლონეთის მატჩებში წყდებოდა ფინალისტის ბედი. პირველი მატჩი დაიწყო უფრო გვიან, ვიდრე მეორე. როცა არგენტინელები წინ იყვნენ 2-0, სტადიონზე გამოაცხადეს, რომ ბრაზილიელებმა მოიგეს 3-1 და ცხადი გახდა, არგენტინა ფინალში რომ გასულიყო, უნდა გაეტანა კიდევ ოთხი ბურთი. ამის შემდეგ არგენტინელებმა მართლაც შეაგდეს პერუს ნაკრების კარში ოთხი ბურთი და ფინალში გავიდნენ.

მეორე დღეს ბრაზილიაში დაარბიეს პერუს საელჩო.

**1982 წელი. გფრ – ავსტრია 1-0**

გერმანელებმა მე-10 წუთზე გაიტანეს ბურთი და ამის შემდეგ ორივე ნაკრები მთელი 80 წუთი თამაშობდა მაყურებელთა სტვენის ქვეშ. ამ ფარსის შემდეგ ფრანგმა მწვრთნელმა მიშელ იდალგომ ფიფას ხუმრობით შესთავაზა, რომ მონაწილე გუნდები დაეჯილდოვებინათ ნობელის პრემიით მშვიდობისათვის.

**1982 წელი. საფრანგეთი – ქუვეიტი 4-1**

როცა ანგარიში იყო 3-1, ჟირესმა გაიტანა კიდევ ერთი ბურთი. საბჭოთა მსაჯმა სტუპარმა გოლი ჩათვალა, მაგრამ აქ კუვეიტელი ფეხბურთელები მისცვივდნენ გვერდით მსაჯს და უმტკიცებდნენ, რომ იყო თამაშგარე. მატჩს ესწრებოდა კუვეიტის შეიხი, სახელმწიფოს მმართველის ძმა, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იყო. შეიხი ლოჟიდან ჩავიდა მინდორზე და თავისი ავტორიტეტის ძალით გოლი არ ჩაათვლევინა სტუპარს, რასაც ფრანგების მწვრთნელის აღშფოთება მოჰყვა. მაგრამ საინტერესო იყო ის, რომ სტუპარმა დააფიქსირა ოფსაიტი და საჯარიმო დარტყმის ნაცვლად დანიშნა სადავო ბურთი, რის შემდეგ ფიფამ აუკრძალა სტუპარს საერთაშორისო მატჩების მსაჯობა.

**1986 წელი. არგენტინა – ინგლისი 2-1**

პირველი ბურთი მარადონამ გაიტანა ხელით. ხელით თამაში ნახა ათასობით მაყურებელმა, მაგრამ ვერ დაინახა მსაჯმა. ამ გოლს მარადონამ „ღმერთის ხელით“ გატანილი უწოდა.

**1990 წელი. გფრ – არგენტინა 1-0**

პირველად ფინალურ მატჩიდან გააძევეს ორი ფეხბურთელი. ერთადერთი გოლი კი ბრემემ 11-მეტრიანით გაიტანა, ამ 11-მეტრიანმა არგენტინელთა აღშფოთება გამოიწვია და განაწყენებულმა და აცრემლებულმა მარადონამ დაჯილდოებაზე ხელი არ ჩამოართვა ფიფას პრეზიდენტ ჟოაო აველანჟს.

**მოამზადა მეზხვია ჯალაღონიამ (აფხაზეთი, სოფ. ფშაფი)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვადასხვა მერიდიანზე

**კალათბურთი.** ნბა-ში გაიმართა კონფერენციების ფინალური შეხვედრები. დასავლეთის ფინალში „იუტა ჯაზმა" 112:77 სძლია „ლოს ანჯელეს ლეიკერზს". მათი ცენტრების კარლ მელოუნისა და შაკილ ო,ნილის ორთაბრძოლა პირველის უპირატესობით წარიმართა. იუტა დაწინაურდა სერიაში 1:0.

გუშინ გაიმართა „ლოს ანჯელეს ლეიკერზისა" და „იუტა ჯაზის" მეორე შეხვედრა. კვლავ გაიმარჯვა „იუტამ" — 99:95 და ახლა საერთო ანგარიშია 2:0.

**აღმოსავლეთის ფინალში** კი „ბულზმა" ჩიკაგოში მიიღო „ინდიანა პეისერზი", რომელსაც წელს წარსულში ლეგენდარული კალათბურთელი ლარი ბერდი წვრთნის. ინდიანელებმა ნახევარფინალში „ნიუ-იორკ ნიქსი" დაამარცხეს და კარგ ფორმაში არიან. მაგრამ ჩიკაგოში მაინც იგრძნობოდა, რომ მაიკლ ჯორდანის გუნდი გაცილებით მაღალი კლასისაა. ალბათ საუკეთესო მსოფლიოში. ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა მაიკლმა. ჩვეულებრივად კარგად ითამაშა ფარზე დენის როდმანმა. დაცვაში შეუდარებელნი იყვნენ სკოტ პიპენი და ჰარპერი. ინდიანელთა სნაიპერმა რეჯი მილერმა 16 ქულა მოიპოვა, როცა ჯორდანმა 31 შესძინა გუნდს. ამ შეხვედრაში ცენტრების „დუელს" (რიკი სმიტი „ინდიანა" — ლონგლი „ჩიკაგო") გადამწყვეტი როლი არ უთამაშია. იქ, სადაც „Air"-„ჰაერია" (ჯორდანის მეტსახელი), ყველაფერი ნათელი ხდება 85:79 მოიგო „ბულზმა" და სერიაში დაწინაურდა 1:0.

**ჰოკეი.** „სენტ ლუის ბლიუზმა" დეტროიტში მოულოდნელად დაამარცხა შარშანდელი „სტენლის თასის" მფლობელი „დეტროიტ რედ ვინგზი". სტუმრები 3:0 იგებდნენ შეხვედრას, მაგრამ ბოლოს, ლაპოინტის გადაცემით, აიზერმანმა ერთი შაიბა გაქვითა. სერიის ანგარიშია 3:2. დეტროიტი კვლავ წინაა და ერთი მოგებაღა სჭირდება საერთო გამარჯვებისათვის.

მოამზადა
**ბია ახალაძემ**

## „ტოტო-ლოტო" — მოთამაშეთა სიხარული!

*17 მაისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის მესამე გათამაშებით, რომელიც გადაიცა საქართველოს ტელევიზიის I არხით.*

**«ლოტო 6-42»**-ის ტირაჟში მონაწილეობდა **91538** ვარიანტი, საპრიზო ფონდი შეადგენდა **11442** ლარს.
მოგებახვედრილი რიცხვები: **4. 7. 15. 32. 36. 42.**
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. ამ ჯგუფის გაუთამაშებელი საპრიზო ფონდი 35750 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.
5 ციფრი ამოიცნო 11-მა მოთამაშემ – თითოეულს შეხვდა 156 ლარი.
4 ციფრი ამოიცნო 266-მა მოთამაშემ, თითოეულს – 8.60 ლარი.
3 ციფრი ამოიცნო 2727-მა მოთამაშემ, თითოეულს – 1.40 ლარი.
**„სუპერ-7"**-ის გათამაშებაში მონაწილეობდა **10979** ბილეთი, მომგებიანი ციფრებია: **6218790**
3 ციფრი დაემთხვა 12 ბილეთში, თითოეულს – 50 ლარი.
2 ციფრი – 88 ბილეთში, თითოეულს – 3 ლარი.
1 ციფრი – 957 ბილეთში, თითოეულს – 0,50 ლარი.
ტირაჟის მსვლელობისას სატელევიზიო შოუში გათამაშდა შემდეგი პრიზები:
წნევის აპარატი – ნესტორ მიქიანი;
საფრანგეთში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრები საგზური – ალეკო ცქვიტიშვილი (კასპი);
ელექტრო საპარსი – პაატა ზაქარაშვილი (კასპი);
აუდიო მაგნიტოფონი – ეკა ჭითანავა (თბილისი);
ვიდეო მაგნიტოფონი – მარიანა ჟვანია (თბილისი);
ტელევიზორი – შალვა დაბრუნდაშვილი (თბილისი);
მონობლოკი – სალომე სუხიშვილი (თბილისი);
სპორტული კომპლექსი „ადიდასი" – ზურაბ სურმანიძე (ბათუმი);
გათამაშდა აგრეთვე: ჩაიდანი, უთო, ფენი, მიქსერი, ელ. საფქვავი და სხვა.
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 24 მაისს, ჯეკ-პოტი **35750** ლარია.
ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია!
გისურვებთ წარმატებას!

**საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი**

## დავით ჯალაღონია



მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ღვაწლმოსილ პედაგოგთა რიგებს 75 წლისა გამოაკლდა ვეტერანი მასწავლებელი, ომისა და შრომის ვეტერანი, შესანიშნავი პიროვნება დავით ჯალაღონია. დაიბადა აბაშის რაიონის სოფ. პირველ მაისში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და უმალვე ახალდაწყებული მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან გზას გაჰყვა. ბოლომდე იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. შინ მხოლოდ 1946 წელს დაბრუნდა და მშობლიური რაიონის სოფ. გაუწყინარის 8-წლიანი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, ამ სკოლაში დაჰყო ვიდრე 1996 წელს პენსიაზე გავიდოდა. პარალელურად დიდხანს მუშაობდა კოლმეურნეობაში მეთოდისტად. ბევრი ახალგაზრდა აზიარა სპორტის სიკეთეს, სოფლის გუნდები გამოჰყავდა რაიონულ შეჯიბრებებში, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ფრენბურთელები. დიდი ამაგი მიუძღვის სოფლად სპორტული ბაზების გაშენებაში. აქტიურად მონაწილეობდა რაიონის სპორტულ ცხოვრებაში, მის ავტორიტეტულ სიტყვას მუდამ უწევდნენ ანგარიშს ახალგაზრდა კოლეგები.

დავით ჯალაღონიას ღვაწლს არასოდეს დაივიწყებს თაობები, რომლებმაც ამ სამაგალითო აღმზრდელის პედაგოგიურ ქურაში გაიარეს ფიზიკური და სულიერი წრთობა, არასოდეს დაივიწყებენ მრავალრიცხოვანი კოლეგები, მეგობრები, ახლობლები და ნათესავები, საერთოდ, აბაშის რაიონის საზოგადოება.

**აბაშის სპორტკომიტეტი, რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, „შევარდენის" რაიონული საბჭო**

დაკრძალვა ხუთშაბათს, 21 V.

## ქართული სპორტის პრობლემები ქართულ პრესაში

**კრივი.** „გასულ წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული წარმატების შემდეგ, სპორტის დეპარტამენტმა და ფედერაციამ ყველა ღონე იხმარეს, რათა გუნდი სერიოზულად და ნაყოფიერად მომზადებულიყო ევროპის ჩემპიონატისათვის".

„საქართველოს სპორტი", №109.

**ველოსპორტი.** „ომარ ფხაკაძის გარდაცვალებიდან ხუთი წლისთავთან დაკავშირებით საერთაშორისო ტურნირი ჩატარდება, თუმცა, უსახსრობის გამო საზღვარგარეთიდან ველომრბოლების მოწვევა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას".

„დილის გაზეთი", №107

**ფეხბურთი.** ალექსანდრე ჩივაძე: „ჩემთვის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი ისაა, რომ ეროვნულ ნაკრებს საკუთარი ბაზა არა აქვს".

„ახალი თაობა", №131.

## ვუხმობთ თანაკურსელებს!

თუ თქვენ გენატრებათ თანაკურსელები, რომლებთან ერთად დაამთავრეთ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი 1958 წელს, თუ თქვენ გენატრებათ მშობლიურ სასწავლებელთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრა, 23 მაისს 12 საათზე მობრძანდით, ამ ინსტიტუტში (ამჟამად აკადემია) – წარსულთან შესახვედრად.

**საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ბოზი ბოგოლაძე**





**20 მაისი, ოთხშაბათი**
*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი რაგბში: საქართველო-რუსეთი (17.55). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი: „იუვენტუსი" — „რეალი" (22.45). *II არხი.* „გოლი" (21.15). იბერია. „ბურთი და მოედანი" (11.45). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.45). *საქართველოს ხმა.* მსოფლიოს სტადიონებზე (11.25; 22.05; 23.30). *ტელეკომპანია VII არხი, სტუდია „ერა".* ჩემპიონთა ლიგა. ფინალი (22.35). **НТВ.** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი (22.35). **REH TV.** სპორტ-კურიერი (0.10). **ТНТ.** ევროპული საფეხბურთო კვირა. 1 ნაწილი (20.30). **АСТ.** სპორტი (20.10). **НТВ плюс спорт.** ფეხბურთი (7.50; 21.15; 22.05; 22.35). სპორტული ცეკვები (8.50). ცხენოსნობა (13.30). კრივი (15.25). კარტინგი (1.00). **NBC.** სუპერსპორტი (23.00). **EUROSPORT.** ფეხბურთი (10.30; 12.00; 13.30; 1.30). ჩოგბურთი (15.00; 19.00). მოტოსპორტი (15.30; 3.00). ველოსპორტი (17.30). მძლეოსნობა (20.30). კრივი (23.30)

**21 მაისი, ხუთშაბათი**
*საქართველოს ტელევიზია. იბერია.* „ბურთი და მოედანი" (11.55; 21.10). *კავკასია* „ვარსკვლავები" (17.45). *საქართველოს ხმა.* მსოფლიოს სტადიონებზე (11.10; 18.00). *ტელეკომპანია VII არხი, სტუდია „ერა",* ფეხბურთი (7.50; 18.00). **НТВ.** ჰოკეის კლუბი (18.35), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (0.40). **REH TV.** სპორტ-კურიერი (19.45; 0.20). **ТНТ.** ევროპული საფეხბურთო კვირა. ნაწილი II (20.35). **АСТ.** სპორტი (20.10). **НТВ плюс спорт.** მაგიდის ჩოგბურთი (7.10, 14.45). ფეხბურთი (7.50; 15.10; 18.00; 1,25). ჰოკეი (9.30; 21.15). სპორტული ცეკვები (12.35). ჩოგბურთი (18.25; 0.55). **NBC.** სუპერსპორტი (23.00). **EUROSPORT.** მძლეოსნობა (10.30). ავტო-მოტო-ველოსპორტი (11.30; 16.00; 17.30; 2.00). ფეხბურთი (12.30; 20.00; 22.00; 1.00). ჩოგბურთი (19.00). კრივი (23.30)

**22 მაისი, პარასკევი**
*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: „დინამო" (თბ.) — „სამგურალი" (17.00). „ასპარეზი" (21.15). *იბერია.* ოქროს გუნდი (12.10). „ბურთი და მოედანი" (11.45; 21.10). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.45). *საქართველოს ხმა.* მსოფლიოს სტადიონებზე (11.45; 18.00). *ტელეკომპანია VII არხი, სტუდია „ერა".* ჰოკეი (8.25; 0.55). ევროპის ფეხბურთის კვირეული (12.35). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი (17.20). **РТР.** კრივი (1.15). **НТВ.** საფეხბურთო კლუბი (18.35). **REH TV.** სპორტ-კურიერი (19.45; 0.05). **ТНТ.** ჰოკეი (20.30). **АСТ.** სპორტი (20.10), **НТВ плюс спорт.** ჭადრაკი (7.10; 7.50; 15.15). ჰოკეი (8.25; 19.10; 21.15; 0,55). სინქრონული ცურვა (9.55; 19.55); კრივი (14.20; 0.10). ჩოგბურთი (16.45). ფეხბურთი (17.20). **NBC.** სუპერსპორტი (23.00). **EUROSPORT.** ავტოსპორტი (10.30; 15.00). ფეხბურთი (11.30; 12.30; 14.00). მოტოსპორტი (16.00; 22.00). ველოსპორტი (17.00; 17.30). კრივი (23.30). კარტინგი (1.30).

**იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები**
**მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!**

ქ. თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი ემსახურება პროფესიულ სპორტსმენებს, სპორტსკოლების აღსაზრდელებს, სპორტში გაჯანსაღებისთვის მომეცადინეებს; ყველას, ვისაც ესაჭიროება აღდგენითი თერაპია (რეაბილიტაცია): დამბლა, პარეზი, გადატანილი ინფარქტი, მოტეხილობა და სხვა ტრავმები, დამწვრობა, იშიორადიკულიტი ათრიტი, ართროზი, ოსტეოხონდროზი, ახოვანების დეფექტი და სკოლიოზური დაავადება. ცენტრთან ფუნქციონირებს მასაჟისტის მოსამზადებელი ორთვიანი კურსები.

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.
**მისამართი:** ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" და ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო იუწყებიან, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ძიუდოში

**ბიბა რთველიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა 21.V. სოფ. ძეგვში.

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს შენგელი ფიცხელაურს მამის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბიბა რთველიაშვილის გარდაცვალების გამო.

## კროსვორდი



**თარაზულად:** საფეხბურთო კლუბები — 1. საბერძნეთის, 48. კვიპროსის; 12-14. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის, 32-33. წარსულში გამოჩენილი უნგრელი ცენტრალური მცველი, 43-45. „ბოხუმის" რუსი ლეგიონერი, 46-47. წარსულში გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი, მარცხენა გარემარბი, 59-60. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 78-80. გამოჩენილი ჩეხი ტანმოვარჯიშე ქალი, 89. ქართველი მოჭადრაკე ქალი.

**შვეულად:** 2-25. იტალიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 15. წარსულში მოსკოვის „დინამოში" მოთამაშე ცნობილი ქართველი წყალბურთელი, 20. ცნობილი ქართველი ხუთჭიდელი, 21-63. 60-70-იანი წლების ცნობილი რუსი ჰოკეისტი, 29-71. „პიაჩენცას" ფეხბურთელი (ფოტო), 37-53. ჩეხი ჩოგბურთელი ვაჟი, 38-54. 1968 წლის ევროპის რჩეული ფეხბურთელი, 39-55. იტალიელი მცველი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 67. რუსეთის საფეხბურთო კლუბი.

**დიაგონალურად:** 15-1. ბრაზილიელი მცველი, 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 30-6. ახლო წარსულში იტალიის ნაკრების მილანელი მცველი, 36-17. „ბარსელონას" მეკარე (ფოტო), 5-23. ახალზელანდიელი მორბენალი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 4-16. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი, 10-31. ქართველი მოჭიდავე, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 3-20. ირანის ნაკრების საფეხბურთო მწვრთნელი, 7-35. ლეგენდარული ამერიკელი მძლეოსანი, 18-40. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 27-8. „ფორმულა-1"-ის ფრანგი პილოტი, 19-9. რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი.



29-71



36-17



44-79



50-26

34-11. სპორტული ნიჩბიანი ნავი, 44-13. კოლუმბიის საფეხბურთო კლუბი, 13-49. ესპანელი თავდამსხმელი, 1964 წლის ევროპის ჩემპიონი, 44-79. „ვალენსიას" ფრანგი ლეგიონერი (ფოტო), 79-49. „უდინეზეს" ბრაზილიელი ფეხბურთელი, 22-70. ამერიკული კალათბურთის ვარსკვლავი, 64-28. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 24-51. მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკისათვის დაწესებული პრიზი, 50-26. ინგლისის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი. 41-68. გამოჩენილი ამერიკელი ბადროს მტყორცნელი, 66-42. „პორტუს" ბრაზილიელი ფეხბურთელი, 52-74. 60-70-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი მეკარე, 57-85. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 72-89. წარსულში გამოჩენილი არგენტინელი საფეხბურთო მწვრთნელი, 81-58. გერმანელი მცველი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 83-73. სათამაშო პერიოდი ჩოგბურთში, 84-65. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 75-56. „ფორმულა-1"-ის ბრაზილიელი პილოტი, 86-62. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 90-77. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 61-82. ლეგენდარული ფინელი მძლეოსანი, 76-88. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 69-87. 80-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი).

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:**
**თარაზულად:** 5. ყარაბაღი, 6. კარტოზია, 8. არგენტინა, 11. მტერი, 14. ბელტი, 15. განტელი, 16. ბიბლია, 17. აზდაკი, 21. ბროლინი, 22. ვიალი, 23. ეტაპი, 26. კლუივერტი, 27. „არისტონი", 28. პაციენტი.
**შვეულად:** 1. გარანტია, 2. შაირი, 3. არენა, 4. „დინასტია", 7. ანკეტა, 9. კრიმინალი, 10. დემოკრატი, 12. კარიერა, 13. „ალაზანი", 18. კაიშაური, 19 ალიევი, 20. კაპრიატი, 24. ალტაი, 25. ატაკი.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. მალიშევი (რუსეთი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. კf3!
1. ...f4 2. g3 fg
3. კe4 g2 4. კ:d3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი